

"აქტუალური საათი" ბუნდესტაგში
A3

ბოლნისში ინდივიდუალური გამრიცხველიანება იწყება
A4

დევიდ ბექჰემი: "მომწონს ლოპეს კაპო"
A6

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 16 დეკემბერი, 2005 წელი. №279 (1139) | ფასი 50 თეთრი

ამბები

6 ლარი სულით დაავადებულთათვის

"ყინულის დაძვრა" სპეციალისტების გადამზადებას, ხელფასით მათ უზრუნველყოფასა და პაციენტების რეაბილიტაციისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენას გულისხმობს.

A2

ამბები

„ფინანსურ პერსპექტივებზე" შეთანხმება ჭერჭერობით ვერ ხერხდება

ბრიუსელში ევროკავშირის სამიტი დაიწყო, რომელზეც გაერთიანების მომავალი 7 წლის (2007-2013) ბიუჯეტის მიღებაა დაგეგმილი. თუმცა, ჯერ კიდევ სამიტის გახსნამდე აშკარა იყო, რომ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. 25 წევრ-სახელმწიფოს ლიდერს წინ ძალიან რთული დებატები ელის, რათა საერთო გადაწყვეტილება იქნეს მიღწეული.

A3

სამართალი

150 ლარად პასპორტს ერთ დღეში აიღებთ

კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, საქართველოს მოქალაქეს 24 საათში პასპორტისა და პირადობის მოწმობის აღება დამატებითი ღირებულების გადახდის ფასად შეეძლება.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	16/12	17/12
თბილისი	12	12
ტყიბული	14	13
სოხუმი	13	10
დმანისი	8	5
გორი	11	10
ონი	7	5
ზუგდიდი	15	13
ახმეტა	12	11
გაგრა	12	11
სამტრედია	16	15

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7875
ევრო	2.1495
გირვანქა სტერლ.	3.1675
რუბლი	0.0624

ამბები	A 2
ამბები	A 3
ეკონომიკა	A 4
სამართალი	A 5
სპორტი	A 6
რევიუ	A 7
სხვადასხვა	A 8

ოპოზიცია ირეალურ და რეალურ სამყაროში

გიორგი ასანიშვილი

ხელისუფლების ოპონენტი დეპუტატები ყველაზე კომფორტულად და "უსაფრთხოდ" ფრაქციის სხდომაზე გრძნობენ თავს - ამ თავყრილობაზე ოპოზიცია თავად არის აბსოლუტურ უმრავლესობაში. ისინი განსჯიან მტყუან-მართალს, აკეთებენ შეფასებებს, იძლევიან რეკომენდაციებს, გამოაქვთ დასკვნები...

სახელისუფლებო ძალებს ამ სამყაროში ფეხის შედგმა ჭირის დღესავით ეზარებათ, რადგან ისინი აქ უმწეონი არიან და ის "ცოდვები" მოეკითხებათ, რომელსაც "რეალურ სამყაროში" სჩადიან. დაზარებით კი ეზარებათ, მაგრამ დროდადრო იძულებულები არიან, "კრაზანების ბუდეში" მაინც შეყონ თავი.

გაგრძელება A3 გვერდზე

საკუთარი ფრაქციის სხდომაზე ოპოზიცია კომფორტულად გრძნობს თავს.

„ირაო" და „ჯი პი აი ჰოლდინგი" ერთიანდებიან

ეთერ მამულაშვილი

ქართული სადაზღვევო ბაზრის ორი მნიშვნელოვანი მოთამაშე - "ირაო" და "ჯი პი აი ჰოლდინგი" ერთიანდება. ამ ტრანზაქციის ინიციატორი "ჯი პი აი ჰოლდინგის" ერთ-ერთი დამფუძნებელი "თიბისი ბანკი" იყო, რომლის სათავო ოფისში გუშინ ამ გაერთიანებას ხელი ოფიციალურად მოეწერა.

სადაზღვევო ბაზრის ორ კომპანიას შორის მოლაპარაკება ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა. საბოლოო გადაწყვეტილებით, "ჯი პი აი ჰოლდინგმა"

გაგრძელება A3 გვერდზე

გუშინ გაერთიანებას ხელი ოფიციალურად მოეწერა.

საპარლამენტო არჩევნები ერაყში

დემოკრატიის დამყარების მესამე ცდა

ნანა ნასყიდაშვილი

ერაყში გუშინ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. საარჩევნო უბნები ადგილობრივი დროით დილის 7 საათზე გაიხსნა და ხმის მიცემის პროცედურა საღამოს 5 საათამდე გაგრძელდა. ქვეყნის პრეზიდენტი ჯალალ ტალაბანი სულეიმანიაში გახსნილ საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველთა შორის ერთ-ერთი პირველი იყო. **"დღევანდელი დღე ერაყისთვის მნიშვნელოვანია და ქვეყნის მოსახლეობა ვალდებულია, არჩევანი ერაყის მომავალი კეთილდღეობის სასარგებლოდ გააკეთოს. იმედი მაქვს, ერაყელი ხალხი ერთსულოვანი იქნება თავის გადაწყვეტილებაში და სწორი არჩევანის გაკეთების გზით ჩვენი კონსტიტუციის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს,"** – აღნიშნა ჯალალ ტალაბანიმ.

გაგრძელება A3 გვერდზე

ერაყში წელს უკვე მესამე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა.

საქართველოს პრეზიდენტის და ბაგაფშის შეხვედრა შესაძლოა დეკემბერში გაიმართოს

მიხეილ სააკაშვილის მიერ შეთავაზებული წინადადება შეხვედრის შესახებ აფხაზი სეპარატისტების ლიდერმა მიიღო. ბაგაფში სააკაშვილის ინიციატივას რუსული სააგენტოს მეშვეობით მეორე დღესვე გამოეხმაურა. იგი არ გამორიცხავს, რომ მისი და სააკაშვილის შეხვედრა დეკემბერში შედგეს.

ნათია მსხილაძე

"დეკემბრის ბოლომდე პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრას არ გამოვრიცხავ," - განუცხადა რუსულ საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსს" მოსკოვში ვიზიტით მყოფმა ბაგაფშმა. იგი ხაზს უსვამს, რომ პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრისთვის მზადყოფნას ადრეც გამოთქვამდა.

"მე მაშინ ვაცხადებდი, რომ საომარი მოქმედებების განუახლებლობის საერთაშორისო გარანტიების დოკუმენტზე მუშაობის დასრულების შემდეგ, ყველა საკამათო საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით, სააკაშვილს შევხვდებოდი," - თქვა ბაგაფშმა.

ამ შეხვედრის შესახებ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ალასანიამ 14 დეკემბერს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

"ჩვენ ვთვლით, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობები დღეს უფრო მომწიფებულ ფაზაშია. ახლა აფხაზური მხარის რეაქციას დაველოდებით და იმედი გვაქვს, რომ პრეზიდენტების შეხვედრა და მოლაპარაკებების გამართვა შესაძლებელი გახდება," - აღნიშნა ალასანიამ.

ვინ იყიდის ბერიას სახლს?

კრწანისის რეზიდენციის ერთი ნაწილი მეორედ იყიდება

კრწანისის ყოფილი რეზიდენციის N1 აგარაკის, ე.წ. ბერიას სახლის მესაკუთრე შპს "ბაზელი" მის გაყიდვას აპირებს. ისტორიული შენობის სავარაუდო ფასი 4 მილიონი აშშ დოლარია, მყიდველი კი - რუსეთში მოღვაწე ბიზნესჯგუფი.

ეთერ მამულაშვილი

ამის შესახებ ინფორმაცია "24 საათს" არასამთავრობო ორგანიზაცია "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრმა" მიაწოდა. აგარაკის შესაძლო გაყიდვის შესახებ ინფორმაციას შპს "ბაზელის" წარმომადგენელი შალვა ქოჩლაძეც ადასტურებს. მისი თქმით, აგარაკს რამდენიმე დაინტერესებული პირი უკვე გამოუჩნდა, ისინი რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენები არიან. მათთან მოლაპარაკებები ამჟამადაც მიმდინარეობს, თუმცა "ბაზელი" აგარაკის გაყიდვას არ ჩქარობს. **"არის ბევრი კითხვა და დეტალი, რომლის დაზუსტებას ითხოვენ. ეს ბუნებრივიც არის. თანაც, ჩვენ ამ შენობის გაყიდვას არ ვჩქარობთ. ძალიან ნელ რეჟიმში ველოდებით იმ მომენტს, როდესაც შეიძლება გამოჩნდეს ადამიანი, ვისაც სიამოვნებით მივყიდდით,"** - ამბობს შალვა ქოჩლაძე.

კრწანისის ყოფილი რეზიდენციის №1 აგარაკი ორსართულიან, მანსარდის ტიპის შენობას წარმოადგენს, რომლის საერთო ფართი 1988 კვადრატულ მეტრს შეადგენს. მასთან ერთად იყიდება დაახლოებით 4000 კვადრატული მეტრის მიწის ფართობი, რაზედაც ეს შენობაა განლაგებული. შალვა ქოჩლაძის განცხადებით, ისტორიული შენობის სავარაუდო ფასი 4 მილიონი აშშ დოლარია. აგარაკის საბოლოო ფასი მყიდველის ვინაობასა და თანხის გადახდის პირობებზეა დამოკიდებული. **"ბუნებრივია, ჩვენი მიზანია, აგარაკი ხელსაყრელ ფასად გავყიდოთ. თუ რა ფასად მივყიდით მას ინვესტორს, ეს დამოკიდებულია მის მიერ თანხის გადახდის პირობებზე. თუკი ის თანხას მინიმალურ დროში გადაიხდის, ჩვენ მას 4 მილიონზე ნაკლებად მივყიდით.**

გაგრძელება A2 გვერდზე

სახალხო დამცველის მოხსენება დეპუტატების დაპირისპირების საბაბი გახდა

ომბუდსმენმა სოზარ სუბარმა პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს მუშაობის ექვსთვიანი ანგარიში ჩააბარა, რასაც დეპუტატების მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქცია და შეფასება მოჰყვა. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მისული სახალხო დამცველი საბოლოოდ დეპუტატების ერთი ნაწილის დაცვის ქვეშ აღმოჩნდა. მიზეზი კი სხდომაზე მისული ერთადერთი ოპოზიციონერი პარლამენტარი გახდა, რომელმაც დასმულ კითხვებზე ომბუდსმენისგან დამაკმაყოფილებელი პასუხები ვერ მიიღო.

თამარ კაციტაძე

თუმცა, ვიდრე კომიტეტის დარბაზში ხმაური დაიწყებოდა, ომბუდსმენმა ვრცელი და ყველა იმ პრობლემის მომცველი ანგარიში წაიკითხა, რაზეც მისი აპარატი მუშაობს. სოზარ სუბარი აცხადებს, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მათ ოფისში ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით 1 205 განცხადებაა შესული. ამ განცხადებებიდან 477 სისხლის სამართლის საქმეების კუთხით დარღვეულ უფლებებს შეეხება, 1400 განცხადება კი სამსახურებიდან გათავისუფლებულ იმ ადამიანებს ეკუთვნით, რომელთა მიმართაც შრომის კანონმდებლობა დაირღვა. დანარჩენი განცხადებები, როგორც სუბარი აღნიშნავს, არის სამოქალაქო ხასიათის და, ძირითადად, საკუთრების უფლების კუთხით ადამიანის უფლებათა დარღვევას შეეხება.

ომბუდსმენი ოფიციალურად აღიარებს, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვევა ციხეებშიც და მათ გარეთაც.

"ადამიანის უფლების დარღვევის ერთ-ერთი ფაქტია ის, რომ კამერებში, რომლებიც გათვლილია 8 ან 10 ადამიანზე, 40 ან 60 პატიმარი იხდის სასჯელს", - ამბობს სახალხო დამცველი, რომელმაც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე კიდევ ერთხელ დააყენა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის შოთა კოპაძისა და მეშვიდე საპყრობილის ხელმძღვანელის მოადგილის გელა კიკილაშვილის გათავისუფლების საკითხი.

გაგრძელება A5 გვერდზე

6 ლარი სულით დაავადებულთათვის

თამარ მაისურაძე

სასტუმრო "თბილისი-მერიოტში" გუშინ შეკრებილი საზოგადოება საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობისა და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირთა მდგომარეობაზე მსჯელობდა. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ფსიქიკური აშლილობის მქონე 106 921 პირია. არაოფიციალურად კი მათი რიცხვი ბევრად მეტია. იმავე სტატისტიკის თანახმად, 1992 წლიდან საქართველოს მოსახლეობაში ფსიქიკური აშლილობით გამოწვეული დაავადებების სამმაგი, ხოლო თავად დაავადების ორმაგი ზრდაა დაფიქსირებული.

ანგარიში, რომელზეც გუშინ ოფიციალური უწყებების წარმომადგენლები, ფსიქიატრიული საავადმყოფოსა და ამ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები მსჯელობდნენ, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებულ სავალალო მდგომარეობას და პაციენტთა უფლებების დარღვევას ეხებოდა.

"ფსიქიკური აშლილობა წარმოადგენს უნარშეზღუდულობის, სიკვდილიანობისა და სიღარიბის ხელშემწყობ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. ამ დაავადების შედეგად გამოწვეული უნარშეზღუდულობა მძიმე ტვირთად აწვება როგორც ოჯახს, ისე ქვეყანას," – განაცხადეს შეხვედრაზე.

დღეს სახელმწიფოს ფსიქიკურად დაავადებული პაციენტის ერთი დღით სტაციონარში შენახვა 6 ლარი უჯდება. ამ თანხით იფარება კომუნალური გადასახადები. 6 ლარში შედის პაციენტის კვება, ექიმის ხელფასი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც პაციენტს, წესით, ესაჭიროება.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის კოორდინატორი არჩილ ბეგაშვილი მიიჩნევს, რომ პირველ რიგში, "უნდა შემცირდეს საზოგადოების სტიგმატიზირებული დამოკიდებულება" ამ ადამიანების მიმართ.

"უნდა მოხდეს ქრონიკული ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაცია. შეიძლება ითქვას, რომ წელს სახელმწიფო პროგრამაში პირველად ჩაიდო ფსიქიატრიის რეაბილიტაციის საკითხი. პირველად წელს დაფინანსდება სენაკის, ბათუმისა და ქუთაისის სარეაბილიტაციო ცენტრები. მართალია, ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ... ყინული დაიძრა," – აღნიშნა მან.

"ყინულის დაძვრა" სპეციალისტების გადამზადებას, ხელფასით მათ უზრუნველყოფასა და პაციენტების რეაბილიტაციისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენას გულისხმობს. რაც შეეხება ფსიქიკურად დაავადებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესებას, ეს ჩვენი ხელისუფლების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუ ფსიქიკურად დაავადებულთა სახელმწიფო პროგრამა 2006 წელს კიდევ ნახევარი მილიონი ლარით გაიზრდება, შესაძლებელი იქნება, ფსიქიკურად დაავადებულმა ადამიანებმა სტაციონარული მკურნალობა შედარებით უკეთეს პირობებში გაიარონ.

დაიწყო თბილისის ახალი აეროპორტის მშენებლობა

თურქულმა კომპანიამ "ტავი" გუშინ თბილისის ახალი აეროპორტის მშენებლობა ოფიციალურად დაიწყო. თურქული მხარის განცხადებით, ამ ეტაპზე ტერიტორიის გასუფთავება მიმდინარეობს და ეს პროცესი დაახლოებით ორ კვირას გასტანს.

აეროპორტის მშენებლობაში დასაქმებულთა დაახლოებით 70 პროცენტი ქართველი სპეციალისტები და მუშახელი იქნებიან. ეს პირობა სახელმწიფოსთან გაფორმებული კონტრაქტით არის გათვალისწინებული და მის დარღვევას ან რევიზიას "ტავი" არ აპირებს.

მშენებლობის გრაფიკის მიხედვით, ახალი აეროპორტი ექსპლუატაციაში 2006 წლის 23 ნოემბერს შევა. მისი აშენება თურქულ მხარეს 62 მილიონი დოლარი უჯდება. **ინტერპრესნიუსი**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი, "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს კონკურსს ტელევიზიისა და რადიოს საინფორმაციო პროგრამების პროდიუსერის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
უმაღლესი განათლება;
მედიასაშუალებებში მუშაობის მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება (სასურველია ტელევიზიაში კორესპონდენტის ან პროდიუსერის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება);
უცხო ენის ცოდნა;
კომპიუტერის საოფისე და ინტერნეტ-პროგრამების ცოდნა.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:
ავტობიოგრაფია (CV);
ორი ფოტოსურათი;
დიპლომის ასლი;
სამოტივაციო წერილი, არა უმეტეს 250 სიტყვისა (გთხოვთ, ჩამოაყალიბოთ, თუ რატომ გსურთ საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამის პროდიუსერად მუშაობა);
ორი სარეკომენდაციო წერილი, ან იმ პირების საკონტაქტო ინფორმაცია, ვისაც თქვენთვის რეკომენდაციის გაწევა შეუძლია.
საბუთები მიიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 6 სთ-მდე შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, კოსტავას 68, საზოგადოებრივი მაუწყებლის კანცელარია
საბუთების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 5 იანვარი, 18.00 საათი.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი, "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს კონკურსს ტელევიზიისა და რადიოს პროგრამების კორესპონდენტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
უმაღლესი განათლება (ჟურნალისტიკის, ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერებების სფეროში);
ტელევიზიაში ჟურნალისტად მუშაობის გამოცდილება (სასურველია);
უცხო ენის ცოდნა (სასურველია);
კომპიუტერის საოფისე და ინტერნეტ პროგრამების ცოდნა.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:
ავტობიოგრაფია (CV);
ორი ფოტოსურათი;
დიპლომის ასლი ან ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან;
სამოტივაციო წერილი, არა უმეტეს 250 სიტყვისა (განმარტეთ, რატომ გსურთ საზოგადოებრივ მაუწყებელში მუშაობა);
ორი სარეკომენდაციო წერილი, ან იმ პირების საკონტაქტო ინფორმაცია, ვისაც თქვენთვის რეკომენდაციის გაწევა შეუძლია.
საბუთები მიიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 6 სთ-მდე შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, კოსტავას 68, საზოგადოებრივი მაუწყებლის კანცელარია
საბუთების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 5 იანვარი, 18.00 საათი.**

ახალი შესაძლებლობები ქართველი ბიზნესმენებისთვის

დიანა ჩაჩუა

საქართველოში შვეიცარიის საელჩომ და შვეიცარიასთან ბიზნესურთიერთობებით დაკავშირებულმა ქართულმა კომპანიებმა - "ალტერ ჯგუფმა", "სილქ როუდ ბანკმა", "ნაბეღლავმა", "ფრანკემ" და "არტტაიმმა" საქართველო-შვეიცარიის ბიზნესასოციაციას ჩაუყარეს საფუძველი. გუშინ სასტუმრო "თბილისი მერიოტში" აღნიშნული ასოციაციის პრეზენტაცია გაიმართა.

პრეზენტაცია სასტუმრო "თბილისი მერიოტში".

საქართველო-შვეიცარიის ბიზნესასოციაციის პრეზიდენტის კახა უგულავას განცხადებით, ახლადჩამოყალიბებული ასოციაციის მიზანი ორი ქვეყნის ბიზნესურთიერთობების გამყარებაა. კერძოდ, შვეიცარიელ და ქართველ ბიზნესმენებს შორის ურთიერთობების დამყარება ორი ქვეყნის ეკონომიკის სამინისტროების, შვეიცარიის საელჩოს, შვეიცარიის ინვესტიციების ხელშეწყობის ორგანიზაციის (SOFI), შვეიცარიის ექსპორტის რისკის გარანტიის ორგანიზაციის (ERG), შვეიცარიის იმპორტის ხელშეწყობის პროგრამის (SIPPO) და შვეიცარიის ბიზნესქსელის დახმარებით განხორციელდება.

"ორგანიზაცია პირდაპირი ინვესტიციების პროექტებს შეუწყობს ხელს და ქართულ კომპანიებს შვეიცარიის ბაზარზე ადგილის დამკვიდრებაში დაეხმარება. საქართველო-შვეიცარიის ბიზნესასოციაცია სემინარებს, კონფერენციებს და სხვა სახის ღონისძიებებს ჩაატარებს, რათა ბიზნესპროექტები და ინვესტიციები წარმატებული გახადოს," - განაცხადა ასოციაციის პრეზიდენტმა კახა უგულავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

საინტერესოა, რომ აღნიშნული ბიზნესასოციაცია შვეიცარიის სავაჭრო პალატების (SWISS-CHAM) წარმომადგენელი იქნება ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ასოციაციის დამფუძნებლების თქმით, მთავარ პრიორიტეტს როგორც შვეიცარიული კომპანიების შემოყვანა და ქვეყანაში მათი ცოდნის დანერგვა, ასევე საქართველოსთვის მათი ტექნიკური ცოდნისა და თანამედროვე მენეჯმენტის გამოცდილების გაზიარება წარმოადგენს.

"ეს კომპანიები მომხმარებელს მიაწვდიან ნაწარმს, რომლის მაღალი ხარისხის გარანტიასაც ასოციაციის წევრები ემსახურებიან," - აცხადებდნენ გუშინ ბიზნესასოციაციის დამფუძნებლები.

აღსანიშნავია, რომ ახლადშექმნილმა ასოციაციამ ქცევის კოდექსიც შეიმუშავა, რათა წევრებს შორის ბიზნესის საუკეთესო გამოცდილება და მაღალი დონის ეთიკური სტანდარტები დანერგოს.

ვინ იყიდის ბერიას სახლს?

პირველი გვერდიდან

"ბაზელისთვის" განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ იქნება ამ ისტორიული შენობის მყიდველი, - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს შალვა ქოჩლაძემ.

შალვა ქოჩლაძის ინფორმაციით, №1 აგარაკზე, თავის დროზე, ბერიას გარდა, მსოფლიოში ცნობილი ბევრი ადამიანი ცხოვრობდა. მათ შორის იყვნენ რუსეთის ექსპრეზიდენტი ბორის ელცინი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ თეტჩერი, რომის ყოფილი პაპი იოანე პავლე მეორე, რობერტ კენედი, ბრეჟნევი და კიდევ მრავალი სხვა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ შენობაში გარკვეული პერიოდის მანძილზე საქართველოს ექს და ამჟამინდელი პრეზიდენტებიც ცხოვრობდნენ. **"ეს არის უნიკალური შენობა, რომლის ანალოგი საქართველოში არ ყოფილა და არც იქნება. გარდა მისი ისტორიული დატვირთვისა, განუმეორებელია მისი არქიტექტურა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყოფილი რეზიდენციის ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების უმაღლესი კლასის შენობებს ვაშენებთ, ასეთი მაინც არც ერთი არ იქნება,"** - გვითხრა შალვა ქოჩლაძემ.

ერთი საინტერესო დეტალი: სამთავრობო რეზიდენციის კომპლექსი 44 ჰექტარ მიწის ფართობზე განლაგებულ 10 აგარაკს და შენობას მოიცავს. დაახლოებით ერთი წლის წინ, როცა შპს "ბაზელმა" კრწანისის რეზიდენცია საქართველოს ხელისუფლებისგან 15 მილიონ აშშ დოლარად იყიდა, ამ ფაქტს ეკონომიკური განვითარების ყოფილმა მინისტრმა კახა ბენდუქიძემ საქართველოს უძრავი ქონების ისტორიაში ყველაზე მსხვილი გარიგება უწოდა. დღეს კი ირკვევა, რომ რეზიდენციის ამჟამინდელი მეპატრონე მხოლოდ ერთ შენობას მთლიანად გადახდილი თანხის 26 პროცენტად ყიდის. ყოველივე ამის შემდეგ ლოგიკურად ჩნდება კითხვები: იყო თუ არა შპს "ბაზელი" ის კომპანია, რომელიც რეზიდენციაში ხელისუფლებას ყველაზე მეტ თანხას უხდიდა და იყო თუ არა 15 მილიონი დოლარი რეზიდენციის რეალური ღირებულება?

კრწანისის რეზიდენცია შპს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ბალანსზე იმყოფებოდა და, შესაბამისად, თავის დროზე სწორედ ამ სამსახურმა გაყიდა. სამსახურის უფროსის მოადგილე მირიან მდივანი "24 საათთან" საუბრის დროს ამბობს: **"შესაძლოა, ეს თანხა დღეს დიდი ფული არ იყოს, რადგან გასული წლის შემდეგ უძრავ ქონებაზე ფასები 3-4-ჯერ გაიზარდა, მაგრამ მერწმუნეთ, 15 მილიონი იმ დროისთვის საკმაოდ მაღალი ფასი იყო."**

სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ყოფილი უფროსი ირაკლი როსტომაშვილი, რომლის დროსაც გაიყიდა ყოფილი რეზიდენციის ტერიტორია, ამბობს, რომ შარშან ყველაზე მეტს რეზიდენციაში შპს "ბაზელი" იხდიდა. **"იყვნენ თურქი ბიზნესმენები, რომლებიც 10 მილიონს გვთავაზობდნენ, ქართველები - 5 მილიონს. გარდა იმისა, რომ "ბაზელი" ყველაზე მეტს იხდიდა, მან თანხის დაფარვის ყველაზე მოკლე დრო შემოგვთავაზა,"** - გვითხრა ირაკლი როსტომაშვილმა.

ამ დროისთვის შპს "ბაზელს" 9 მილიონი აშშ დოლარი უკვე გადახდილი აქვს, და როგორც კომპანიის წარმომადგენელი შალვა ქოჩლაძე ირწმუნება, მომდევნო ორ კვირაში "ბაზელი" კიდევ 3 მილიონს გადაიხდის. დარჩენილი 3 მილიონის გადასახდელად კომპანიას ვადა საქართველოს ხელისუფლებამ მაისამდე მისცა, თუმცა, როგორც კომპანიაში ვარაუდობენ, შესაძლოა "ბაზელმა" თანხა სრულად იანვრის ბოლომდეც დაფაროს.

ცნობისათვის: კრწანისის რეზიდენციის დღევანდელი მფლობელები არიან ბარი სეპტიმუსი, კომპანია Creative Production Inc-ის ხელმძღვანელი და რონალდ ვალდმანი, Basel Group LLC-ის დირექტორი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისინი აშშ-ს უძრავი ქონების ოპერაციებით დაკავებული კომპანიების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ კონსორციუმს წარმოადგენენ. მათ საქართველოში ერთობლივი შპს "ბაზელი" 2004 წლის შემოდგომაზე დააფუძნეს.

გალის რაიონში ვითარება უცვლელია

ჭუბურხინჯში ოთხმხრივი სხდომა გაიმართა, რომელზეც მხარეებმა გალში შექმნილი რთული კრიმინოგენული ვითარება განიხილეს.

როგორც "მედიანიუსს" კონფლიქტის ზონაში ქართული მხარის სამხედრო დამკვირვებელმა ვალერი ჯაფარიძემ განუცხადა, გალის რაიონში ვითარება უცვლელია და ქართველთა უფლებები ისევ ირღვევა.

რაც შეეხება კონფლიქტის ზონაში დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების როტაციას, ვალერი ჯაფარიძის თქმით, ამის შესახებ ქართული მხარე წინასწარ იყო ინფორმირებული. კონკრეტული რიცხვი უცნობია, თუ როდის მოხდება სამშვიდობო ძალების როტაცია.

გალის რაიონში რთულ კრიმინოგენულ ვითარებაზე და ადამიანის უფლებათა დარღვევაზე მომავალი წლის იანვარში ჟენევაშიც იმსჯელებენ, სადაც გაეროს ეგიდით ქართულ-აფხაზური მხარეების შეხვედრაა დაგეგმილი. **მედიანიუსი**

პროფესიონალი სოციალური მუშაკები საქართველოსაც მალე ეყოლება

ნანა ნასყიდაშვილი

სოციალური მუშაკის პროფესიის არსებობის აუცილებლობა ქართულ სინამდვილეში დიდი ხანია, დგას. თუმცა, პროფესორ იაგო კაჭკაჭიშვილის თქმით, საქართველოში დღემდე არ არსებობდა უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც აღნიშნული პროფესიის სპეციალისტებს მოამზადებდა. უახლოეს მომავალში ვითარება, სავარაუდოდ, მკვეთრად შეიცვლება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სოციალურ მუშაკთა მომზადებისა და კვალიფიცირების ამაღლების სფეროში დიდი ბრიტანეთის შეფილდ ჰალანის უნივერსიტეტთან და სლოვენიის ლუბლიანის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა დაიწყო. შეფილდ ჰალანის უნივერსიტეტი, ლუბლიანის უნივერსიტეტი და თსუ ევროკავშირის პროგრამის Tempus-ის ფარგლებში თანაპარტნიორები გახდნენ და სოციალურ მუშაკებს ერთობლივად მოამზადებენ (შეფილდ ჰალანის უნივერსიტეტს სოციალურ მუშაკთა მომზადების 40-წლიანი გამოცდილება აქვს. აღნიშნული უნივერიტეტის კურსდამთავრებულები ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში წარმატებით მოღვაწეობენ).

პროგრამის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დღეისთვის საქართველოში მოღვაწე სოციალურ მუშაკებს, რომლებსაც აღნიშნული პროფესიის აკადემიური ცოდნა და ამ ცოდნის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი არ გააჩნიათ, ერთწლიანი სასწავლო კურსის გავლის საშუალებას აძლევს. **"სოციალურ მუშაკებს სწავლის დამთავრების შემდეგ გადაეცემათ სერტიფიკატი, მტკიცებულება იმისა, რომ მისი მფლობელი საკმაოდ კვალიფიცირებულია, რათა საქართველოში აღნიშნული პროფესიის შესაბამისი აქტივობები აწარმოოს,"** – აღნიშნავს პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი. Tempus-ის მიხედვით, აკადემიური ცოდნისა და სათანადო დოკუმენტის გარეშე მომუშავე სოციალურ მუშაკთა საკვალიფიკაციო პროგრამა 2006 წლის თებერვლიდან ამოქმედდება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალურ მუშაკთა გადამზადების პარალელურად, ახალი კადრების მომზადებასაც გეგმავს. ბაკალავრიატში სტუდენტთა პირველი ნაკადის მიღება მომავალი წლიდან იგეგმება. **"ამ ფაკულტეტისთვის სტუდენტთა შერჩევა ძალიან ფაქიზად მოხდება, რათა საბოლოო ჯამში ჭეშმარიტად პროფესიული კადრები მივიღოთ,"** – აღნიშნავს პროექტის აკადემიური ხელმძღვანელი საქართველოს მხრიდან იაგო კაჭკაჭიშვილი. საგულისხმოა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (რომელიც დღეს, ყოფილ სოციოლოგიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტსაც მოიცავს) ჩარიცხვის შემდეგ, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში სტუდენტები ფაკულტეტზე არსებული ყველა სპეციალობის შესავალ კურსს მოისმენენ და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება სტუდენტთა სხვადასხვა სპეციალობებზე გადანაწილება. ოთხწლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტებს მაგისტრის ხარისხის მოპოვების საშუალებაც ექნებათ. ბაკალავრის ხარისხის მქონე სოცმუშაკთა პირველი თაობა საქართველოს უკვე 2010 წლისთვის ეყოლება.

პროექტის ფარგლებში პარტნიორ უნივერსიტეტებს საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობის პარალელურად, მჭიდრო ურთიერთობა საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც აქვს. ამ პარტნიორობის ერთ-ერთი გამოხატულება მომავალში სოციალურ მუშაკთა აღნიშნულ ორგანიზაციებში დასაქმება იქნება.

Tempus-ის პროგრამის მენეჯერის ჯო ლუკასისა და პროექტის კონსულტანტის ჯეინ მაკლენაქანის აზრით, აღნიშნული პროექტი საქართველოში წარმატებით განხორციელდება. თუმცა, ერთ-ერთ გარკვეულ წინაღობას ის ფაქტორი ქმნის, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალური მუშაკის საქმიანობის არსსა და დანიშნულებას ბოლომდე ვერ აცნობიერებს. ნიშანდობლივია, რომ ეს პრობლემა მხოლოდ ჩვენს მოსახლეობას არ აქვს და, საბედნიეროდ, სხვა სახელმწიფოებში გარკვეულ სამუშაოთა ჩატარების შემდეგ, ხალხმა დროთა განმავლობაში სოციალურ მუშაკთა პროფესიული დანიშნულების მნიშვნელობის სათანადოდ შეფასება შეძლო (ზოგადი განმარტებით, სოციალური მუშაკის მთავარი მიზანი სხვადასხვა სფეროებში ადამიანთა ადაპტაციაა).

მოკლედ

საგარეო უწყება რუსული ტელეკომპანიის რეპორტაჟს აპროტესტებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აღშფოთებას გამოხატავს რუსეთის ტელეკომპანია "ენტევე"-ს ეთერში საინფორმაციო გადაცემა "სეგოდნიას" მიერ ნაჩვენები რეპორტაჟის გამო, რომელიც აფხაზეთში დსთ-ს სამშვიდობო ძალების როტაციას და რეგიონში სამარის სპეციალიზებული სამშვიდობო ბრიგადის გაგზავნას ეხებოდა.

საქართველოს საგარეო უწყება პროტესტს გამოთქვამს რეპორტაჟში რუსი სამხედრო მოსამსახურის განცხადებაზე, რომ აფხაზეთი ყოველთვის დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო და საქართველოს შემადგენლობაში სულ ორმოცი წლის მანძილზე იმყოფებოდა.

რუსი მშვიდობისმყოფელი აცხადებდა, რომ აფხაზეთის ისტორია მას სამარაში, ლექციების მოკლე კურსზე გააცნეს.

"აღნიშნულ "ლექციებში" ისტორიული ფაქტების უხეში დამახინჯება არა უნებლიე, არამედ აშკარად გამოხატულ, პოლიტიკურად მოტივირებულ ხასიათს ატარებს და ხელს უწყობს სამშვიდობო ძალების მოსამსახურეთა შორის მკვეთრად ნეგატიური აზრის ფორმირებას ქართველებისა და, ზოგადად, საქართველოს მიმართ," - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ სწორედ საქართველოს მიმართ რუსეთის სამშვიდობოების ნეგატიური დამოკიდებულებით აიხსნება მათი დანაშაულებრივი გულგრილობა კონფლიქტის ზონის ქართველი მოსახლეობის მკვლელობის, დაყაჩაღების, გატაცებისა და სხვა მძიმე დანაშაულების ფაქტების მიმართ.

"მსგავსი ინციდენტები ცხოვრების თითქმის ყოველდღიურ ნორმად იქცა", - ნათქვამია განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტრო შენიშნავს, რომ რეპორტაჟში მოყვანილი ფაქტი ეჭვქვეშ აყენებს სამშვიდობო პროცესში მედიატორის სტატუსით მონაწილე რუსეთის მხარის მიუკერძოებლობას და მისგან სათანადო ახსნა-განმარტებას მოელის. **მედიანიუსი**

დაარღვიეს თუ არა ქართულმა ტელეკომპანიებმა კანონები, დღეს გაირკვევა

დაარღვიეს თუ არა ქართულმა ტელეკომპანიებმა "მაუწყებლობის შესახებ" და "მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონები, დღეს გაირკვევა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ტელეკომპანიებზე ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება მართლმადიდებელ მშობელთა გაერთიანების, მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის კავშირის და ილია ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგთა კავშირის განცხადებების თაობაზე დაიწყო, რომლებიც ცალკეული სამაუწყებლო კომპანიების მიერ "მაუწყებლობის შესახებ" და "მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონების დარღვევებს შეეხება.

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, სამაუწყებლო კომპანია "მზემ" ეთერში გაუშვა არასრულწლოვანებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმები "ვნებათაღელვა", "შენ სულელი ხარ" და "მდიდარი რომ იყო";

სამაუწყებლო კომპანია "ტელეიმედი" ეთერში უშვებს ტელეგადაცემა "დროების" ანონსს, ნარკოტიკის მოხმარების სცენებით, რაც მავნე ზეგავლენას ახდენს არასრულწლოვანებზე; სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" ეთერში უშვებს არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენ პროექტს "ჯეობარი", სერიალს "სერიული მკვლელობები", ფილმების ანონსებს "წარღვნის მოლოდინში", "როცა თავი ღმერთი გგონია"; სამაუწყებლო კომპანია "თბილისი" ეთერში უშვებს მორბენალ სტრიქონს, ინტიმური და სექსტელეფონების მუდმივი რეკლამირებით, რომელიც არ წყდება საბავშვო გადაცემების ეთერში გადაცემის დროსაც, რაც მავნე ზეგავლენას ახდენს არასრულწლოვნებზე.

"მაუწყებლობის შესახებ" და "მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონების დარღვევის ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, სამაუწყებლო კომპანიებს სანქციები დაეკისრება.

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრა. დელეგაციას შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი ხელმძღვანელობს.

ოფიციალური ვიზიტის დროს განიხილება ნატო-სთან საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმით (IPAP) გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. მხარეები, ასევე, იმსჯელებენ საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის სამომავალო ღონისძიებებზე. ბრიუსელში ქართული დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი 19 დეკემბერს დასრულდება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

ირაკლი ალასანიას ინფორმაციით, ტალიავინთან შეხვედრაზე მხარეებმა გამოხატეს ერთიანი აზრი იმის შესახებ, რომ უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებისადმი მიძღვნილ, 2006 წლის იანვრისათვის დაგეგმილ ქართულ-აფხაზურ, ჟენევის შეხვედრაზე გალის რაიონში ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ იმსჯელებენ. **ინტერპრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

ოპოზიცია ირეალურ და რეალურ სამყაროში

პირველი გვერდიდან

ეს, ძირითადად, მაშინ ხდება, როდესაც საკანონმდებლო ორგანოში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა მიმდინარეობს. თუმცა, ამ დროს მინისტრებს, როგორც წესი, "გადაუდებელი საქმეები" გამოუჩნდებათ ხოლმე და ოპოზიციურ ფრაქციაში "მძევლებად" თავიანთ მოადგილეებს გზავნიან.

ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" გუშინდელ სხდომაზე დავით ზურაბიშვილს, კობა დავითაშვილს, დავით ბერძენიშვილს და მათ თანამებრძოლებს, სამინისტროთა პირველი პირების ნაცვლად, ტრადიციისამებრ, მათი მოადგილეები ჰყავდათ "გამოჭერილი". ვინაიდან ფინანსთა მინისტრ ლექსო ალექსიშვილისა და ჯანდაცვის მინისტრ ლადო ჭიპაშვილის დატუქსვა და დამოძღვრა არ ხერხდებოდა, "დემფრონტელები", ერთი რანგით დაბალი მოხელეების, ლაშა გოცირიძისა და ვახტანგ მეგრელიშვილის "წამებით" დაკმაყოფილდნენ.

განსაკუთრებით მძიმე დღეში ჩავარდა ლაშა გოცირიძე, რომელსაც "დემოკრატიულმა ფრონტმა" თავიდანვე აგრძნობინა ძალა.

განსაკუთრებით მძიმე დღეში ჩავარდა ლაშა გოცირიძე, რომელსაც "დემოკრატიულმა ფრონტმა" თავიდანვე აგრძნობინა ძალა - ზვიად ძიძიგურმა მინისტრის მოადგილეს შეახსენა, რომ რამდენიმე დღის წინათ პარლამენტის სხდომაზე სწორედ "დემფრონტმა" დააყენა მისი შეფის იმპიჩმენტის საკითხი.

მთავარი ბრალდება, რომელსაც ოპოზიციური ფრაქცია ფინანსთა სამინისტროს უყენებს, სახელმწიფო ბიუჯეტის გაუმჭვირვალობაა. ბეჟან გუნავას, კახა კუკავას და სხვებს მიაჩნიათ, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარი უკვალოდ არის გამქრალი, რაც ლაშა გოცირიძეს უაზრო ბრალდებად მიაჩნია. მისი კოლეგა გიორგი გოდაბრელიძე კი ოპოზიციონერ პარლამენტარებს ურჩევს, 200-300 ლარად ერთი კარგი ექსპერტი იქირაონ, რომელიც მათ საბიუჯეტო საკითხებში გაარკვევს.

ლაშა გოცირიძეზე არანაკლებ გაწამდა ვახტანგ მეგრელიშვილი, რომელსაც ფრაქციის სხდომაზე მთავრობის საპენსიო პოლიტიკის ადვოკატობა მოუხდა. მისმა მშვიდმა ტონმა დავით ბერძენიშვილი განსაკუთრებით მაშინ გაალიზიანა, როდესაც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ვერ აუხსნა, რეპრესირებულთა პენსია მხოლოდ ხუთი ლარით რატომ იზრდება.

"კაგებეშნიკის" ოჯახში გაზრდილისგან სულაც არ მიკვირს, რეპრესირებულების მიმართ ასეთი დამოკიდებულება რომ გააჩნია," - წონასწორობიდან გამოვიდა დავით ბერძენიშვილი...

ცხადია, ირეალურ სამყაროში ყოფნა (ფრაქციის სხდომა), ადრე თუ გვიან, მთავრდება და ოპოზიციონერი დეპუტატები რეალობას უბრუნდებიან. მათდა გასაოცრად, "გამოფხიზლების" შემდგომი რეალობა გუშინ სულაც არ აღმოჩნდა მწარე - "დემოკრატიული ფრონტის" წევრებს ძალიან გაუკვირდათ ის ფაქტი, რომ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა მხარი დაუჭირა მათ წინადადებას დსთ-ში საქართველოს ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლის შესახებ.

კოტე გაბაშვილის კომიტეტში მიიჩნიეს, რომ ამ საკითხზე გადაწყვეტილება პარლამენტმა, პრეზიდენტმა და მთავრობამ კონსენსუსის გზით უნდა მიიღონ.

"ნატო-ში შესვლა დსთ-ში ყოფნასთან შეუთავსებელია. ამიტომ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დადგება დსთ-დან გამოსვლის საკითხი. ოღონდ, ეს უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც საქართველოსთვის უფრო მოხერხებული და მომგებიანი იქნება," - აცხადებს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე.

საპარლამენტო უმრავლესობის ასეთი მიდგომა ოპოზიციისთვის სავსებით მისაღებია. **"სასურველია, რომ დსთ-სთან მიმართებაში პარლამენტმა ერთსულოვნება გამოიჩინოს და ეს საკითხი უმრავლესობისა და ოპოზიციის წყალგამყოფად არ იქცეს. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დღევანდელი პოზიცია ამის იმედს იძლევა,"** - თავისი ფრაქციის სხდომიდან "მტრულ გარემოცვაში" აღმოჩენილი დავით ბერძენიშვილი სახელისუფლებო ფრაქციის წევრთა "ქცევით" მეტად კმაყოფილია.

"ირაო" და "ჯი პი აი ჰოლდინგი" ერთიანდებიან

პირველი გვერდიდან

"ირაოსგან" აქციების 51 პროცენტი, ანუ საკონტროლო პაკეტი შეიძინა. მიუხედავად ამ გაერთიანებისა, ორივე სადაზღვევო კომპანია კვლავაც დამოუკიდებლად გააგრძელებს არსებობას. **"დღეიდან ჩვენი საქმიანობა კონსოლიდირებული, ყველა ჩვენი ნაბიჯი ერთმანეთთან შეთანხმებული იქნება და ჩვენ გვექნება ერთნაირი სტრატეგია,"** - განმარტავს "ირაოს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არმაზ თავაძე, - **"თიბისი ჯგუფთან" ურთიერთობა ნებისმიერი ბიზნესჯგუფისთვის წინგადადგმული ნაბიჯია. ვფიქრობთ, "ჯი პი აი ჰოლდინგის" გამოცდილება და პროფესიონალიზმი დიდ უპირატესობას შესძენს ჩვენს კომპანიას, რითაც, პირველ რიგში, მომხმარებელი მოიგებს, ხოლო ჩვენი კომპანიის განვითარება კიდევ უფრო სწრაფი ტემპით წარიმართება."**

რატომ გადაწყვიტა სადაზღვევო ბაზრის ერთ-ერთმა ლიდერმა "ჯი პი აი ჰოლდინგმა" შედარებით წვრილი და ახალგაზრდა კომპანიის "ირაოს" შემოერთება? როგორც აღმოჩნდა, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა "ირაოს" მიერ მოკლე დროში მიღწეულმა წარმატებებმა იქონია. "ჯი პი აი ჰოლდინგის" გენერალური დირექტორის გიორგი კიკვაძის თქმით, "ირაოში" ინვესტირება მისი კომპანიისთვის საკმაოდ მომგებიანი იქნება. **"ირაო" მოკლე დროში იქცა წარმატებულ და მეტად საინტერესო კომპანიად. მან კარგად გაიმყარა პოზიციები სადაზღვევო ბაზარზე და დაზღვევის რამდენიმე სახეობაში მიმზიდველი პორტფელი შექმნა. სწორედ ამიტომაც, ჩვენი კომპანიის გამსხვილებისა და განვითარებისთვის ეს გაერთიანება სერიოზული ნაბიჯი იქნება,"** – ამბობს კიკვაძე.

რას მოუტანს ორი მსხვილი და წარმატებული კომპანიის გაერთიანება რიგით მომხმარებელს? დაზღვევის სფეროს ექსპერტი დევი ხეჩინაშვილი ამბობს, რომ "ირაოს" და "ჯი პი აი ჰოლდინგის" გაერთიანება უფრო ხარისხიანად, ეფექტურად და სწრაფად მომსახურების შესაძლებლობას ქმნის. **"დღეს სადაზღვევო კომპანიები, ძირითადად, ორიენტირებულები არიან კორპორატიულ კლიენტებზე, რადგან მოთხოვნა მათი მხრიდან უფრო ხშირია. ახლა სწორედ მოდის ის დრო, როდესაც სადაზღვევო კომპანიები მასობრივ ბიზნესზე, რიგით მომხმარებლებზე გასასვლელად ემზადებიან. ამას კი, ერთი მხრივ, საკმაოდ დიდი რესურსი და მეორე მხრივ, მსხვილი ინვესტიცია სჭირდება. ამას ძალიან ძლიერი კომპანიები სჭირდება როგორც ფინანსურად, ისე ტექნოლოგიურად. დიდი იმედი მაქვს, რომ სადაზღვევო ინდუსტრია და, განსაკუთრებით, მომხმარებელი ამ გაერთიანების შედეგს ძალიან მალე იგრძნობს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს დევი ხეჩინაშვილმა.

როგორც უკვე ითქვა, "ჯი პი აი ჰოლდინგის" ერთ-ერთი მსხვილი დამფუძნებელი საქართველოს საბანკო ბაზრის ლიდერი "თიბისი ბანკია", რომლის მთლიანი აქტივები, უკანასკნელი მონაცემებით, 469 მილიონ ლარს შეადგენს. რაც შეეხება სადაზღვევო კომპანიის მეორე დამფუძნებელს TBIH-ს, ის აღმოსავლეთ ევროპაში ძალიან მსხვილ საფინანსო ჯგუფს წარმოადგენს. ბულგარეთი, ხორვატია, სლოვაკეთი, სერბეთი, რუმინეთი, უკრაინა და რუსეთი - ეს იმ ქვეყნების ჩამონათვალია, სადაც TBIH სადაზღვევო კომპანიებს ფლობს და მართავს. TBIH რამდენიმე სახელმწიფოში კერძო საპენსიო კომპანიების მფლობელიც არის.

რაც შეეხება უშუალოდ "ჯი პი აი ჰოლდინგს": ის 2001 წელს დაარსდა, ანუ მაშინ, როცა ქართული სადაზღვევო ბაზარი განვითარების პირველ ნაბიჯებს დგამდა. კომპანიის მიერ მოზიდულმა პრემიამ გასულ წელს 3 მილიონ 37 ათასი ლარი შეადგინა, 2005 წლის პროგნოზით კი, ეს მაჩვენებელი 4 მილიონ 300 ათასს გადააჭარბებს.

ბოლო რამდენიმე წელია, "ჯი პი აი ჰოლდინგი" საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ერთ-ერთი ლიდერი კომპანიის პოზიციას ინარჩუნებს. მარტივი შედარებისთვის: მიმდინარე წლის პირველ სამ კვარტალში საპენსიო დაზღვევის მიხედვით, "ჯი პი აი ჰოლდინგი" ბაზრის 72 პროცენტს ფლობდა, ხოლო ჯანმრთელობის დაზღვევის მიხედვით, ასევე ყველაზე მეტს - 31 პროცენტს. ეს უკანასკნელი 2004 წლის მონაცემია, და ადვილი შესაძლებელია, რომ წლის ბოლომდე ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შეიცვალოს.

"ჯი პი აი ჰოლდინგისთვის" პრიორიტეტული სფერო სოციალური დაზღვევაა, თუმცა კომპანია აშკარა ლიდერია დაზღვევის ისეთ სფეროებში, როგორიც არის ავტომობილების, ქონებისა და პასუხისმგებლობის დაზღვევა. შარშანდელი მონაცემებით, 17 სადაზღვევო კომპანიას შორის "ჯი პი აი ჰოლდინგი" ბაზრის 14 პროცენტს ფლობდა.

რაც შეეხება "ირაოს", შეიძლება ითქვას, რომ ის სადაზღვევო ბაზრის ყველაზე ახალგაზრდა წევრია, თუმცა ის დღემდე ძალიან სწრაფი ტემპებით ვითარდება. თუკი შარშან მთელი წლის განმავლობაში "ირაოს" მიერ მოზიდულმა პრემიამ 555 ათას ლარს მიაღწია, წელს მხოლოდ ათ თვეში ამ მაჩვენებელმა 3 მილიონ 700 ათასს გადააჭარბა.

ერთი საინტერესო დეტალი: "ჯი პი აი ჰოლდინგი" სხვა სადაზღვევო კომპანიების შემოერთებას უახლოეს მომავალშიც აპირებს. ამ ინფორმაციას კომპანიის გენერალური დირექტორი გიორგი კიკვაძეც ადასტურებს, თუმცა კონკრეტული ინფორმაციის გავრცელებისგან "ჯი პი აი ჰოლდინგში" ამ ეტაპზე თავს იკავებენ. **"დეტალურად ამ სტრატეგიის შესახებ ჩვენ საზოგადოებას რამდენიმე ხანში ვაუწყებთ,"** - განაცხადა გიორგი კიკვაძემ.

უცნობი თავისუფლება

გადაცემის სტუმრები არიან ჟურნალისტები მაგდა პოპიაშვილი და გიორგი არჩემაშვილი

ალექსანდრე ელისაშვილი: სამშვიდობო გეგმის გამოქვეყნების შემდეგ ედუარდ კოკოითიმ მთელი ქართული მედიის სივრცე დაიპყრო და გაწონასწორებული განცხადებები გააკეთა. თქვენ როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?

მაგდა პოპიაშვილი: კოკოითის ნაბიჯი ცოტა დამაბნეველი იყო. ფაქტია, რომ ქართულმა მედიამ ის ძალიან თბილად და კარგად მიიღო. ეს იმ ფონზე მოხდა, როდესაც ექვსი თვის წინ გაუჩინარებული ცხედარი უნდა გადმოსცენ ჭირისუფალს. სწორედ ამ დროს კოკოითი კეთილი პოლიტიკოსი ხდება.

გიორგი არჩემაშვილი: არა მგონია, რომ ყველაფერი ხუთიანზე იყოს. კოკოითის ამ ნაბიჯის უკან, რეალურად, შეიძლება სხვა საფრთხე იმალებოდეს.

ალექსანდრე ელისაშვილი: ხომ შეიძლება, კოკოითი დაფიქრდა და გადაწყვიტა, რომ ასე გაგრძელება აღარ ღირს და ხელი გამოუწოდა საქართველოს, შევრიგდეთო...

მაგდა პოპიაშვილი: კოკოითიმ ეს ნაბიჯი რომ გადადგას, საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებისაგან სერიოზული გარანტიები უნდა მიიღოს.

ალექსანდრე ელისაშვილი: ქუთაისში კიდევ ერთმა გუბერნატორმა ვერ შეინარჩუნა პოსტი. მართალია, ბოთლებზე დასაჯდომად არ გაწეულა, მაგრამ ჟურნალისტზე გაიწია. მან ჟურნალისტი ირაკლი იმნაიშვილი სცემა, შემდეგ კი ღირსეულ ადამიანად მოიხსენიეს. ბობოხიძეს, უბრალოდ, დაუკმაყოფილეს განცხადება გადადგომის შესახებ და დატოვეს იმერეთის რეგიონში, "ნაციონალური მოძრაობის" ხელმძღვანელად. ირაკლი იმნაიშვილმა მომხდარ ფაქტზე სასამართლოში შეიტანა სარჩელი. მართალია, ეს ფაქტი ცოტა მოძველდა, მაგრამ მაინც როგორ აფასებთ მომხდარს?

მაგდა პოპიაშვილი: ეს ფაქტი არ მოძველებულა, რადგან ამაზე რეაგირება ჯერ არ მომხდარა. ხელისუფლების რეაგირება ის იყო, რომ კაკო ბობოხიძე შეაქო, ეს კი რეაგირება არ არის. ჩემთვის შემაშფოთებელია ორი რამ: პირველი, როგორ იქცევიან ხელისუფლების წარმომადგენლები და მეორე, როგორ იქცევა რეგიონის მედია. არსებობს თმენის ვალდებულება, რომელიც სახელმწიფო თანამდებობის პირებს პირდაპირ ავალდებულებს, რომ მოითმინონ. იქ ისეთი არაფერი მომხდარა, რომ ბობოხიძეს მსგავსი რეაქცია ჰქონოდა. მინდა გითხრათ, რომ ბობოხიძე ძველი მოკრივეა და, ეტყობა, თავისი ყმაწვილკაცობის პერიოდი გაახსენდა. რაც შეეხება მედიის დამოკიდებულებას, ძალიან გავვოცდი, როდესაც ტელეკომპანია "რიონის" ხელმძღვანელებმა და სხვა ჟურნალისტებმა გუბერნატორი გამოიგლოვეს. არ მესმის, სად არის კოლეგიალობა, ობიექტურობა...

გიორგი არჩემაშვილი: იმნაიშვილის ფაქტი არ უნდა გვიკვირდეს, რადგან, სანამ ეს ხელისუფლება მოვიდოდა და ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებდა, მანამდეც საკმაოდ გამოცდილები იყვნენ ამ საკითხში. სასაცილოა, როდესაც ხელისუფლება ბობოხიძეს ქმედებას უწონებს.

ალექსანდრე ელისაშვილი: გიორგი, "ჯორჯიან თაიმსს" ასე რატომ არ გიყვართ ხელისუფლება?

გიორგი არჩემაშვილი: რომ არ გვიყვარდეს, ამდენს ხომ არ დავწერდით... იცით, რაშია საქმე? როდესაც ადამიანი აზროვნებ და შეგიძლია შეაფასო მოვლენები, ხედავ, რომ ყველაფერი ფარსს ემსგავსება. არ ხდება დემოკრატიის განვითარება. თუ ვინმეს იჭერენ, ამას პიარისთვის იყენებენ.

ალექსანდრე ელისაშვილი: მოდით, ირაკლი იმნაიშვილის საკითხს დავუბრუნდეთ. რას მოელით სასამართლოსგან?

მაგდა პოპიაშვილი: მე სასამართლო ხელისუფლებისგან არაფერს მოველი, თუნდაც, ბოლო პერიოდში სასამართლოს გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის გამო. სასამართლო ხელისუფლება ზეწოლისაგან თავისუფალი არ არის. შესაბამისად, რატომ უნდა ველოდოთ, რომ აკაკი ბობოხიძის საქციელს მიეცემა ის კვალიფიკაცია, რაც უნდა მიეცეს.

გიორგი არჩემაშვილი: როცა მოსამართლეები გამოდიან და პირდაპირ ამბობენ - გვანადგურებენ, გვავიწროებენ და ა.შ. ვერ ვიტყვი, რომ ამ შემთხვევაში სასამართლო ობიექტური აღმოჩნდება.

უცხოეთი

"აქტუალური საათი" ბუნდესტაგში

"თავისუფალი დემოკრატიული პარტიის" ფრაქციის მოთხოვნით, რომელსაც მხარს "მწვანეებიც" უჭერენ, ბუნდესტაგში "აქტუალური საათი" გაიმართება. დეპუტატები გერმანიის ყოფილი კანცლერის, გერჰარდ შრიოდერის "ჩრდილოევროპული გაზსადენის" კონსორციუმის მუშაობაში მონაწილეობაზე იმსჯელებენ.

ფრაქციის საპარლამენტო მდივნის, იურგენ კოპელინის განმარტებით, კანონმდებლებს ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლებისაგან გერჰარდ შრიოდერის გადაწყვეტილების შეფასების მოსმენა სურთ. ლიბერალები ექს-კანცლერის ამ ნაბიჯს მის მიერ დაკავებული ყოფილი თანამდებობისადმი უპატივცემულობად განიხილავენ.

"ეს დაუდევრობაა შრიოდერის მხრიდან," - აცხადებენ ლიბერალები.

"მწვანეების" ფრაქციის საპარლამენტო მდივნის, ფოლკერ ბეკის თქმით, "ჩრდილოევროპული გაზსადენის" კონსორციუმის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა, მისი კანცლერობის პერიოდში ამ პროექტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის "განსაკუთრებული მადლობის" ჟესტია. სწორედ ამიტომ ეს საკითხი ღიად უნდა იქნეს განხილული, რაც თავად შრიოდერის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს.

"უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, როგორი წესების დაცვით უნდა მოხდეს ყოფილი სახელმწიფო მოღვაწის ეკონომიკურ სექტორში გადასვლა," - თქვა ფოლკერ ბეკმა.



გერჰარდ შრიოდერი ჯერ კიდევ სახელმწიფო დაფინანსებას იღებს.

"თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა" და "მწვანეების" წარმომადგენლები, ძირითადად, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმებზე საუბრობენ. ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის რეალური საშიშროება კი მართლაც არსებობს, რადგან გერჰარდ შრიოდერი ჯერ კიდევ სახელმწიფო დაფინანსებას იღებს. კანონი კი ყოფილ სახელმწიფო მოღვაწეებს თანამდებობის დატოვებამდე იმგვარი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას უკრძალავს, რის საფუძველზეც შეიძლება სხვა მხარემ მადლიერების ნიშნად ფინანსური სარგებელი შესთავაზოს ყოფილ ჩინოვნიკს. "მწვანეები" მიიჩნევენ, რომ შრიოდერმა ასეთი ქმედებით თავად აღძრა ეჭვები საკუთარი პერსონის მიმართ.

გერმანელ ექსპერტთა თქმით, ასეთ მოკლე ვადებში ისეთი თანამდებობის დაკავება, როგორიც ყოფილ კანცლერს პოსტის დატოვების შემდეგ შესთავაზეს, არ ხდება. ამდენად, საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვების გასაფანტავად საჭიროა სერიოზული მოკვლევა.

რია-ნოვოსტი

"ფინანსურ პერსპექტივებზე" შეთანხმება ჭერჭერობით ვერ ხერხდება

ბრიუსელში ევროკავშირის სამიტი დაიწყო, რომელზეც გაერთიანების მომავალი 7 წლის (2007-2013) ბიუჯეტის მიღებაა დაგეგმილი. თუმცა, ჯერ კიდევ სამიტის გახსნამდე აშკარა იყო, რომ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდნენ. 25 წევრ-სახელმწიფოს ლიდერს წინ ძალიან რთული დებატები ელით, რათა საერთო გადაწყვეტილება იქნეს მიღწეული.

ნიკა თარაშვილი

ევროკავშირის ბიუჯეტზე გადაწყვეტილების მიღება უკვე ნახევარ წელზე მეტია, გაჭიანურდა. შეგახსენებთ, მიმდინარე წლის ივნისში, ლუქსემბურგის თავმჯდომარეობის ვადის დასასრულს, ბიუჯეტის განხილვა ერთხელ უკვე გადაიდო.

უკვე ექვსი თვეა, ევროკავშირის მოქმედი თავმჯდომარე, დიდი ბრიტანეთი, მცდელობას არ აკლებს ლუქსემბურგისგან მემკვიდრეობით მიღებული პრობლემის მოგვარებას, თუმცა, დღემდე უშედეგოდ. სხვათა შორის, ბევრი ექსპერტის აზრით, ბრიტანელთა მცდელობამ, შესაძლოა, იმის გამო არ გამოიღო ნაყოფი, რომ გაერთიანებული სამეფო პირველ რიგში საკუთარი ინტერესების დაცვას ცდილობდა და ნაკლებად იყო მზად კომპრომისებისთვის.

ამჟამადაც, კამათი ძირითადად "ბრიტანული ჩეკის" (ბრიტანეთის წილი საერთოევროპულ ყულაბაში) გარშემო მიმდინარეობს – დიდი ბრიტანეთი ვერაფრით თმობს ჯერ კიდევ მარგარეტ ტეტჩერის დროს მიღწეულ დათმობას, რომელიც ბრიტანული შენატანის 66-პროცენტიან შეღავათს გულისხმობს. გარდა ამისა, კვლავაც საკამათო რჩება საერთო აგრარული პოლიტიკა, რომლის შეცვლასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება საფრანგეთი.

სამიტამდე ერთი დღით ადრე ლონდონი ახალი ინიციტივით გამოვიდა, რომელიც მისი შენატანის 2,5 მლრდ ევროთი გაზრდას ითვალისწინებს. თუმცა, ამ წინადადების გამოქვეყნებიდან რამდენიმე საათიც არ იყო გასული, რომ საფრანგეთმა, გერმანიამ და პოლონეთმა უარყვეს იგი. ხოლო ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ ამ ნაბიჯს "სრულიად არაადეკვატური და არასაკმარისი" უწოდა.

საქმე ისაა, რომ, მართალია, ლონდონის წინადადება დიდი ბრიტანეთის შენატანისა და ახალი წევრი-ქვეყნებისთვის დახმარების გაზრდას გულისხმობდა, მაგრამ თავად "ტეტჩერის შეღავათის" გაუქმებას სულაც არ ითვალისწინებდა. ლონდონის წინადადებით, 2007 წლის ბიუჯეტმა 849 მლრდ ევრო უნდა შეადგინოს (ევროკავშირის წევრი-ქვეყნების საერთო მშპ-ს 1,09 პროცენტი), მაშინ, როცა ევროკომისია 25 მლრდ-ით მეტს (მშპ-ს 1,24 პროცენტი) ითხოვდა.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფილიპ დუსტ-ბლაზიმ განაცხადა, რომ წინადადება "არ შეიცავს ყველასათვის მისაღები შეთანხმების საფუძვლებს". პოლონეთმაც კი, რომელიც ლონდონის ახალი წინადადებით ევროკავშირის ბიუჯეტიდან 1,2 მლრდ ევროთი მეტ დაფინანსებას მიიღებს, განაცხადა, რომ ასეთი სახის ბიუჯეტის პროექტს ვეტოს დაადებს. ლონდონის მიერ შემუშავებული პროექტის წინააღმდეგ გამოდიან ესპანეთი და იტალიაც.

ევროკავშირის ლიდერთა შეხვედრა.

საგულისხმოა, რომ დიდი ბრიტანეთი "ტეტჩერის შეღავათის" მიუხედავადაც კი, უფრო მეტს იხდის ევროკავშირის საერთო ბიუჯეტში, ვიდრე გაერთიანების არცთუ ღარიბი წევრები – საფრანგეთი და იტალია.

ასე რომ, გამორიცხული არ არის, ისევე როგორც ზაფხულში, ბიუჯეტის შესახებ შეთანხმება ამჯერადაც არ შედგეს. ამ შემთხვევაში, ბიუჯეტის შეთანხმების "შესაძლებლობა" 2006 წლიდან უკვე ავსტრიას ექნება. მომავალი წლის დასასრულამდე ბიუჯეტზე შეთანხმება უნდა მოხდეს – ეს ყველასათვის კარგადაა ცნობილი – ამ დოკუმენტის გარეშე შეუძლებელი იქნება ევროკავშირის გაფართოების პროცესის გაგრძელება. ჟოზე მანუელ ბაროზუმ სამიტამდე კიდევ ერთხელ დაადასტურა ეს მოსაზრება: **"მოდით, გულწრფელად ვთქვათ - შეუძლებელია ევროკავშირის შემდგომ გაფართოებაზე საუბარი, თუ დღეს 25 ქვეყანა (ევროკავშირის დღევანდელი წევრები) ვერ ახერხებს კავშირის ბიუჯეტზე შეთანხმებას."**

აღსანიშნავია, რომ "ფინანსური პერსპექტივების" სახელით ცნობილი ევროკავშირის გრძელვადიანი ბიუჯეტი ბოლოს 1999 წელს დაამტკიცეს. 2000-2006 წლის ბიუჯეტის მიღება მაშინაც უდიდესი ძალისხმევის შედეგად გახდა შესაძლებელი.

საპარლამენტო არჩევნები ერაყში

პირველი გვერდიდან

საგულისხმოა, რომ არჩევნების მშვიდობიანად ჩატარების მიზნით, გუშინ ერაყის ტერიტორიაზე უსაფრთხოების მაქსიმალური ზომები იყო მიღებული. ქვეყნის სახმელეთო საზღვრები არჩევნების დღემდე დიდი ხნით ადრე ჩაიკეტა.

ერაყის ჯარისა და პოლიციის პარალელურად, ამომრჩეველთა უსაფრთხოებაზე ამერიკელი სამხედროებიც ზრუნავდნენ. ქუჩებში კერძო ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალული იყო და გადაადგილების უფლება მხოლოდ სამხედრო მანქანებს ჰქონდათ. საერთო ჯამში გუშინდელი არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებაზე 150 ათასი სამხედრო და პოლიციელი ზრუნავდა.

უსაფრთხოების აღნიშნული ზომების მიუხედავად, გუშინ ერაყის ტერიტორიაზე რამდენიმე აფეთქების ხმა მაინც გაისმა. ერთ-ერთი პირველი ინციდენტი ბაღდადის ცენტრალურ ნაწილში, ე.წ. მწვანე ზონის სიახლოვეს, საარჩევნო უბნების გახსნის შემდეგ, მალევე მოხდა. ერაყის ზოგიერთ უბანში ნაღმტყორცნიდან გასროლის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. სიწყნარე ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზეც არ იყო. ერაყის ჩრდილოეთით, მოსულში მდებარე ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე მომხდარმა აფეთქებამ, აღნიშნული საარჩევნო უბნის დარაჯის სიცოცხლე იმსხვერპლა, ხოლო თიქრიტში, სადამ ჰუსეინის მშობლიურ ქალაქში, ერთ-ერთი საარჩევნო უბანი ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გუშინდელ სროლებს მსხვერპლი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მოჰყვა, დაჭრილია რამდენიმე ადამიანი.

ნიშანდობლივია, რომ არსებული საფრთხის მიუხედავად, გუშინ საარჩევნო უბნებზე, წინა არჩევნებისგან განსხვავებით, ამომრჩევლის მაღალი აქტივობა დაფიქსირდა (ერაყში 14 მილიონამდე ამომრჩეველია და გუშინდელ არჩევნებში თავისი კონსტიტუციური უფლება 10 მილიონამდე ადამიანმა გამოიყენა). ერაყის მოქალაქეები ხმის მისაცემად ოჯახებით, ბავშვებთან ერთად მიდიოდნენ. საარჩევნო უბანზე მისულ ადამიანებს პოლიციის მიერ უსაფრთხოების მიზნით შექმნილი სამმაგი კორდონისა და შესაბამისი შემოწმების გავლა უწევდათ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ, "ალ ქაიდა"-ს მოწოდებების მიუხედავად, გუშინდელ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა სუნიტთა დიდმა ნაწილმაც მიიღო. შეგახსენებთ, რომ 2005 წლის განმავლობაში ერაყში ორი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რომლითაც ქვეყნის მოსახლეობამ დროებითი საკანონმდებლო ორგანო აირჩია. აღნიშნულ პოლიტიკურ მოვლენებს სუნიტებმა ორივეჯერ ბოიკოტი გამოუცხადეს.

ერაყის ნაციონალურ ასამბლეაში მანდატის მოსაპოვებლად, არჩევნებზე თავისი კანდიდატურა 6655 ადამიანს ჰქონდა წარდგენილი. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო, რომელიც სულ 275 პოლიტიკოსით უნდა დაკომპლექტდეს, ოთხი წლის განმავლობაში იმუშავებს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კანდიდატთა შორის მრავლად იყვნენ ქალი-პოლიტიკოსები.

არჩევნების დაწყებამდე აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ვაშინგტონში მდებარე ვუდრო ვილსონის ცენტრში სიტყვით გამოვიდა და აშშ-ს მიერ ერაყში წარმოებული საომარი კამპანიის შესახებ ისაუბრა. ბუშმა აღიარა, რომ ერაყში შეჭრა გადაუმოწმებელ მონაცემებზე დაყრდნობით მოხდა, თუმცა, აშშ-ს პრეზიდენტის თქმით, თვითონ გადაწყვეტილება სწორად იყო მიღებული. **"ბევრ სადაზვერვო სამსახურს მიაჩნდა, რომ სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი არ დადასტურდა,"** – აღნიშნა ჯორჯ ბუშმა. აშშ-ს პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ ერაყში არჩევნების ჩატარება სარგებელს არა მხოლოდ ამ ქვეყანას, არამედ მეზობელ სახელმწიფოებსაც მოუტანს. **"თავისუფლება ერაყში შთააგონებს რეფორმატორებს დამასკოდან თეირანამდე,"** – აღნიშნა ჯორჯ ბუშ-უმცროსმა.

ბოლნისში ინდივიდუალური გამრიცხველიანება იწყება

დღეს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორი დინ უაითი ქალაქ ბოლნისში დაწყებული ინდივიდუალური გამრიცხველიანების მიმდინარეობას მოინახულებს. დინ უაითი ადგილზე გააკეთებს კომენტარებს მასმედიის წარმომადგენლებისთვის და ასევე მოსახლეობას საკუთარი ხელით გადასცემს წერილებს, სადაც პირადად განუმარტავს თითოეულ აბონენტს ინდივიდუალური გამრიცხველიანების დეტალებს.

სს. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" ქალაქ ბოლნისის ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესს ინტენსიურად იწყებს.

სგსე-ს ქვემო ქართლის ფილიალის დირექტორის ირაკლი ელაშვილის განცხადებით, ეს პროექტი, რომლის საერთო ღირებულება 420 000 ლარს შეადგენს, ქალაქ ბოლნისის გამგეობისა და ენერგოკომპანიის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

კერძოდ, მისი თქმით, სგსე-სა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა შორის გაფორმებული კონტრაქტით, გამრიცხველიანებისთვის საჭირო თანხების ნაწილის მობილიზება მოხდა გამგეობის მხრიდან ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობაზე წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ხარჯზე. დანარჩენი დაფინანსება კი, წინასწარ ანუ ავანსის სახით გადახდილ თანხებად ჩაითვლება.

გამგეობამ პირველი ტრანშის სახით 220 ათასი ლარი უკვე გადმორიცხა. გამოცხადდა ტენდერი მასალების შესყიდვაზე და სამონტაჟო სამუშაოები უკვე დაიწყო. შემდეგი ტრანში გადმოირიცხება 1 000 აბონენტის ინდივიდუალური გამრიცხველიანების შემდეგ.

ელაშვილის განმარტებით, ახალი მრიცხველების დამონტაჟების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექნიკური სტანდარტებისა და უსაფრთხოების ნორმების ზედმიწევნით დაცვას. ახალი მრიცხველები განთავსდება დახურულ კარადებში და არსებულ ბოძებზე ინდივიდუალურად დამონტაჟდება. ნაწილობრივად გამრიცხველიანებულ მრავალსართულიან ბინებში კი მოხდება კარადებისა და ქსელის რეაბილიტაცია ან გამოცვლა.

პროექტის განხორციელება, თავისთავად, ნიშნავს გამრიცხველიანებული და გადამხდელი აბონენტების პრივილეგირებულ ენერგომომარაგებას და შესაბამისად, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდას საკუთარი მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამასთან, მრიცხველების ჩვენების წაკითხვა და კონტროლი შესაძლებელი იქნება კარადის კარების გაღების გარეშე, შუშის სარქველების მეშვეობით.

ზემოხსენებული პროექტი სავარაუდოდ 6 თვეში დასრულდება, თავდაპირველად ქალაქ ბოლნისში 525, ხოლო სულ 3 134 რუსული წარმოების ინდივიდუალური მრიცხველი განთავსდება.

საგულისხმოა, რომ ქალაქ ბოლნისში, მიმდინარე წლის გაზაფხულზე ანალოგიური პროექტის ფარგლებში სგსე-ს ქვემო ქართლის ფილიალის ადმინისტრაციამ 170 აბონენტი ინდივადუალური მრიცხველით უზრუნველყო.

ფილიალის დირექტორი ინდივიდუალურ გამრიცხველიანებასთან დაკავშირებით სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს აქტიური მხარდაჭერისაკენ მოუწოდებს და ახლადდამონტაჟებული ინდივიდუალური მრიცხველისათვის განკუთვნილი კარადის დაზიანების პრეცედენტზე საუბრობს, რის შესახებაც პოლიციას უკვე ეცნობა. **"ასეთი ფაქტები სამართალდამცავების მხიდან დაუყოვნებელ რეაგირებას საჭიროებს",** - აცხადებს იგი.

საყურადღებოა, რომ ამჟამად სგსე მასშტაბურ ინდივიდუალურ გამრიცხველიანებასა და ელექტროქსელების რეაბილიტაციას 15 ქალაქსა და დაბაში ახორციელებს, რისთვისაც სახელმწიფომ 20 მილიონი ლარი გამოყო. გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა კი ანალოგიური ღონისძიებებისათვის დამატებით 25 მილიონი ევრო გამოყო.

24 საათი

სს "საქართველოს ბანკი" და "ფაიარბერდ ავრორა ფონდი" საქართველოს წამყვანი სუპერმარკეტების ქსელის სს "პოპულის" სააქციო კაპიტალის შესყიდვის შესახებ აცხადებენ

საქართველოს წამყვანმა უნივერსალურმა ბანკმა, სს "საქართველოს ბანკმა" (GSE:GEB) და საქართველოს წამყვანი სუპერმარკეტების ქსელის მფლობელმა სს "პოპულმა" დღეს გამოაცხადეს იმის შესახებ, რომ დასრულდა სს "პოპულის" სააქციო კაპიტალის შესყიდვის მეორე ეტაპი სს "საქართველოს ბანკის" და ბანკის ერთ-ერთი ძირითადი აქციონერის "ფაიარბერდ ავრორა ფონდის" მიერ. გარიგების პირობების თანახმად სს "საქართველოს ბანკმა" შეიძინა სს "პოპულის" ახლადემიტირებული აქციების 10 პროცენტი პირველი ეტაპის ფარგლებში, ხოლო გარიგების მეორე ეტაპის შედეგად "ფაიარბერდ ავრორა ფონდი" გახდა სს "პოპულის" ახლადემიტირებული და არსებული აქციების 23.3 პროცენტი მფლობელი.

"ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სს "პოპულის" აქციონერები გახდნენ სს "საქართველოს ბანკი" და "ფაიარბერდ ავრორა ფონდი". მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ვართ არასაბანკო სექტორის წარმომადგენელი პირველი ქართული სააქციო კომპანია, რომლის აქციებიც შეიძინა ისეთმა პრესტიჟულმა საერთაშორისო ინსტიტუციონალურმა ინვესტორმა, როგორიცაა "ფაიარბერდ ავრორა ფონდი". ახალ აქციონერებთან თანამშრომლობა საშუალებას მოგვცემს ჩვენი გრძელვადიანი გეგმები კიდევ უფრო ეფექტურად განვახორციელოთ. კერძოდ, 100 ერთეულამდე გავზარდოთ სუპერმარკეტების ქსელი, მოვიცვათ საქართველოს ყველა რეგიონი, შევქმნათ ცენტრალური საწყობი და დავაარსოთ სადისტრიბუციო და ლოგისტიკის ცენტრი. სააქციო კაპიტალში ინვესტირების მესამე ეტაპის შედეგად, გავაფართოვოთ მომწოდებლების რაოდენობა და გავაგძელოთ ჩვენი კლიენტებისთვის უმაღლესი ხარისხის პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზება მრავალფორმატიანი სავაჭრო წერტილების საშუალებით", - აღნიშნა სს "პოპულის" გენერალურმა დირექტორმა და დამფუძნებელმა, ევგენი ფიჩხაიამ.

"მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი პარტნიორობა დაიწყო სს "პოპულის" ზრდის მეტად მნიშვნელოვან ეტაპზე. როგორც საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს, აღნიშნული გარიგება საშუალებას მოგვცემს პოპულის კარგად განვითარებული ქსელის მეშვეობით კიდევ უფრო დავუახლოვდეთ მოსახლეობას და ახალი არხების დამატებით შევთავაზოთ ჩვენი საცალო საბანკო პროდუქტების მრავალფეროვნება. ასევე ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ჩვენმა აქციონერმა, "ფაიარბერდ ავრორამ" მიიღო გადაწყვეტილება დააბანდოს სახსრები არასაბანკო სექტორში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სს "პოპულის" საიმედოობას, ზრდის პერსპექტივას და მისი მენეჯმენტის პროფესიონალიზმს", - განაცხადა სს "საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ლადო გურგენიძემ.

ნოემბერ-დეკემბერი - მკაცრი გამოცდა საქართველოს ბიუჯეტისთვის

** "ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ "ევრაზიისაგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს პროექტს "სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ანტიკორუფციული ექსპერტიზა". მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს "ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი" აგებს.*

თუ გადავხედავთ სახელმწიფო ბიუჯეტის ნოემბრის და, ზოგადად, 11 თვის შესრულების მაჩვენებლებს, დავინახავთ, რომ წინა თვეების და მთლიანად წლის განმავლობაში გამოკვეთილი ტენდენციები კვლავაც უცვლელია. როგორც მოსალოდნელი იყო და არაერთგზის იყო პროგნოზირებული, საბიუჯეტო პოლიტიკის არასათანადო ფორმატით დაგეგმვის გამო, როგორც შემოსავლების მობილიზების, ასევე მათი ხარჯვისას უდიდესი ტვირთი სწორედ წლის უკანასკნელ თვეებს დააწვა. ამ მხრივ ნოემბრის მონაცემები განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა, ვინაიდან უფრო მეტად გამოიკვეთა კონტურები, თუ როგორი იქნება საბიუჯეტო პოლიტიკა წლის ბოლოს. იმავდროულად, გამოჩნდა ის ძირითადი საფრთხეებიც, რაც ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვით ნაწილში დეკემბერში შეიძლება წარმოიშვას.

2005 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც წინამორბედებთან შედარებით უპრეცედენტოდ შემოსავლიანი და მასშტაბური იყო, წლის ბოლოს საკმაოდ სერიოზული გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. სწორედ ამ სირთულეების დაძლევა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა შეიძლება იქცეს მომავალი ბიუჯეტების უფრო მაღალი მდგრადობის, მეტი გამჭვირვალობის და განვითარებაზე ორიენტირებულობის საფუძვლად.

შემოსავლები

ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტმა 252,34 მილიონი ლარის შემოსავლები მიიღო. ამ მონაცემით ნოემბერი წლევანდელი თვეებიდან მხოლოდ აპრილს ჩამოუვარდება, როცა ბიუჯეტში რეკორდულად მაღალი თანხა - 326,55 მილიონი ლარი შევიდა. თუმცა, აქ აუცილებლად აღსანიშნავია, რომ აპრილში შემოსავლების მაჩვენებლის ასეთი მკვეთრი ზრდა იმ გარემოებით იყო განპირობებული, რომ ბიუჯეტში სწორედ მაშინ ჩაირიცხა "საქართველოს საოკეანო სანაოსნოს" პრივატიზებისას გადახდილი თანხა - 93 მილიონი დოლარი. რაც შეეხება ნოემბერს, განვლილი თვის განმავლობაში საპრივატიზებო გარიგებებიდან ბიუჯეტში შესული თანხების მოცულობამ მხოლოდ 48,44 მილიონი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი კი ამჯერადაც უფრო მეტად საგადასახადო შემოსავლებით შეივსო. ამ რესურსიდან სახელმწიფო ბიუჯეტმა ტრადიციულად ყველაზე მაღალი შევსება - 174,28 მილიონი ლარი მიიღო.

აქედან 69,96 მილიონი ლარი საგადასახადო დეპარტამენტის წილად მოდის, 104,32 მილიონი კი - საბაჟო დეპარტამენტისა (ამ მხრივ, მდგომარეობა პროგნოზის შესაბამისია, ვინაიდან, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის უკანასკნელი გაზრდისას იმთავითვე იყო ნათქვამი, რომ გეგმის შესრულება უპირატესად საბაჟო დეპარტამენტის ხარჯზე, უფრო კონკრეტულად, იმპორტირებული პროდუქციის დღგ-თი დაბეგვრის საშუალებით მოხდებოდა). თუმცა, აქ აუცილებლად ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ როგორც ერთ, ისევე მეორე შემთხვევაში შემოსავლების საკმაოდ სოლიდური ნაწილი (საგადასახადო დეპარტამენტში 9,87 მილიონი ლარი ანუ თვეში მთლიანად თავმოყრილი თანხების 15%, საბაჟოში კი 23,78 მილიონი ლარი ანუ მთელ ნოემბერში აკრეფილი ფულის 23%) მობილიზებულია თვის ბოლო დღეს - 30 ნოემბერს. ეს კი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ წინა წლების მანკიერი პრაქტიკა, როდესაც ბიუჯეტში დიდ მოცულობის თანხების მობილიზება მხოლოდ თვის უკანასკნელ დღეებში ხდებოდა, კვლავაც ძალაში რჩება.

ნოემბრის მონაცემების ჩათვლით, 11 თვეში ბიუჯეტში 2 მილიარდ 185,17 მილიონი ლარია მობილიზებული, რაც ბევრად აღემატება საპროგნოზო მაჩვენებელს. თუმცა, ამ თანხების მობილიზება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უპირატესად საგადასახადო შემოსავლების მეშვეობით მოხდა. დაგეგმილზე ბევრად მოკრძალებული აღმოჩნდა ის თანხები, რომლებიც პრივატიზებიდან და გრანტების საშუალებით იქნა მოზიდული. აქედან გამომდინარე, ამან საკმაოდ სერიოზული ასახვა ჰპოვა სახარჯო პოლიტიკაზეც.

ხარჯები

რაც შეეხება ხარჯებს, ეს მონაცემი ნოემბერში 231,93 მილიონ ლარს გაუტოლდა. ამ მხრივ ნოემბერი წლევანდელი თვებიდან მხოლოდ ივნისს ჩამოუვარდება (ივნისში ბიუჯეტის ხარჯებმა 248,91 მილიონი ლარი შეადგინა). თუმცა, წლის განვლილი პერიოდის განმავლობაში გაწეული მთელი ხარჯები, ასევე მათი მოცულობა და სიხშირე გახდა საბოლოო მიზეზი იმისა, რომ 11 თვის მონაცემებით შექმნილი მდგომარეობა ცალკეული მიმართულებების მიხედვით საკმაოდ საგანგაშოდ გამოიყურება.

როგორც ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტის ინფორმაციიდან იკვეთება, გაწეული ხარჯები დაგეგმილს, პრაქტიკულად, არც ერთ პარამეტრში არ შეესაბამება და ყველგან საგრძნობი ნაკლებობით ხასიათდება. უფრო კონკრეტულად, ბიუჯეტის მიერ გაწეული ხარჯების სიდიდე დაგეგმილის, დაახლოებით, 80%-ის ფარგლებში მერყეობს. თვალსაჩინოებისთვის მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ: მუშა-მოსამსახურეთა ხელფასები 88%-ით არის დაფინანსებული, კვების ხარჯები - მხოლოდ 75%-ით, კაპიტალური ხარჯები კი - სულაც 72%-ით.

ანალოგიური მდგომარეობაა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის თითქმის ყველა მიმართულებით, რაც საბოლოოდ ასეთ ვითარებას ქმნის: 11 თვის მონაცემებით, უკვე გაწეულმა ხარჯებმა 2 მილიარდ 212 მილიონი ლარი შეადგინა. ბიუჯეტით გათვალისწინებული წლის სახარჯო პარამეტრი კი, არც მეტი, არც ნაკლები, 2 მილიარდ 825 მილიონ ლარს შეადგენს. ეს კი ნიშნავს, რომ გეგმის ანუ საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის შესასრულებლად, დეკემბრის განმავლობაში 600 მილიონ ლარზე მეტი მოცულობის ხარჯი უნდა გაიწიოს, რაც თითქმის 2,5-ჯერ აღემატება ივნისში გაწეულ აქამდე რეკორდულ ხარჯს (248,9 მილიონი ლარი) და თითქმის 7-ჯერ - იანვარში დახარჯულ თანხებს (88 მილიონი ლარი).

ამ თვალსაზრისით, წლევანდელი სახარჯო პოლიტიკა ზუსტად იმავე გზით ვითარდება, როგორც შარშანდელი: 2004 წლის ნოემბერ-დეკემბერშიც (განსაკუთრებით, დეკემბერში) ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯების დასაფარად წინა თვეებთან შედარებით ჯერადად მეტი რესურსი მიიმართა. თუ მანამდე ყველაზე მაღალი თვიური ხარჯი 147 მილიონს არ აჭარბებდა, ნოემბერში ეს მაჩვენებელი 156 მილიონს გაუტოლდა, დეკემბერში კი თითქმის გაორმაგდა და 294 მილიონი ლარი შეადგინა, რაც დაუყოვნებლივ აისახა ინფლაციურ პროცესებზე.

რისკები

წინა წლების მანკიერი პრაქტიკის გაზიარების თვალსაზრისით, როგორც ჩანს, არც წლევანდელი წელი იქნება გამონაკლისი. თუ მოხერხდება შემოსავლების წლიურ გეგმაში წარმოქმნილი დეფიციტის აღმოფხვრა, მაშინ წლის ბოლოს ბაზარზე კვლავაც ფულის უდიდესი მასა უნდა გავიდეს, რაც თავის მხრივ საკმაოდ სერიოზული საფრთხის შემცველია. იმ შემთხვევაში, თუ ეს პრობლემა ვერ გადაილახა, საქართველოს ბიუჯეტს წლის განმავლობაში რამდენჯერმე გაზრდის მერე საკმაოდ უსიამოვნო და თითქოს უკვე წარსულში დატოვებული პროცესი - სეკვესტრი შეიძლება დაემუქროს, რის შესაძლებლობასაც მთავრობა კატეგორიულად გამორიცხავს.

თუ დაგეგმილი შემოსავლების მობილიზება და, შესაბამისად, გაწერილი ხარჯების დაფინანსებაც მოხდება, მაშინ დღის წესრიგში სხვა საფრთხე დგება - ინფლაციური პროცესების გააქტიურება. თავისთავად ცხადია, რომ ბაზარზე ამ მოცულობის თანხის "გასროლა" ფულის გაუფასურების და ფასების სტაბილურობის შერყევის სერიოზული საფუძველი შეიძლება გახდეს. ცხადია, ხელისუფლებას აქვს ბერკეტები, რომ მონეტარული ინსტრუმენტებით ლარის კურსის ვარდნა არ დაუშვას და მისი სიმყარის ილუზია შექმნას. თუმცა, ეს ნამდვილად ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ფულის რეალურ ღირებულებაზე, რომელსაც ინფლაცია სერიოზულად "დაამჩატებს".

არსებობს მესამე შესაძლებლობაც. შემოსავლების გეგმის შესრულება-შეუსრულებლობის მიუხედავად, მოხდეს 2005 წლის საბიუჯეტო ხარჯების დაყოვნებით, შემდეგ წელიწადში გადატანით გასტუმრება, რაც ნიშნავს, რომ ფართოდ აფიშირებული ვალების გასტუმრების ფონზე, საქართველო ახალ წელს ახალი დავალიანებებით შეხვდება, რაც ასევე საკმაოდ არასახარბიელო გამოსავალია.

დაახლოებით ასეთია იმ რისკების ჩამონათვალი, რომელიც საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს წლის მიწურულს უდგას. თუმცა, საბიუჯეტო პოლიტიკით დაინტერესებული სხვა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგალითად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) მიიჩნევენ, რომ ბიუჯეტის შესრულების პრობლემა არა იმდენად მის არასწორ დაგეგმვაში, რამდენადაც გაუმჭვირვალე ხასიათშია. ახალგაზრდა იურისტები ჯერ კიდევ ზაფხულში აცხადებდნენ, რომ მთავრობის მხრიდან ბიუჯეტის პერმანენტული ზრდა მოწოდებულია არა იმდენად მომავალში მისაღები საშემოსავლო ნაკადების საბიუჯეტო არხებში მოსაქცევად, არამედ უკვე გაწეული უკანონო ხარჯების "გასათეთრებლად". შესაბამისად, გამორიცხული არ არის, რომ დეკემბერში გასაწევი 600-მილიონიანი ხარჯის გარკვეული ნაწილი უკვე დახარჯულია და ამჟამად მხოლოდ მისი "კორექტირება" მოხდეს. თუ ეს ნამდვილად ასეა, ნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრობლემები კიდევ უფრო სერიოზულია, ვიდრე ეს მხოლოდ რიცხვებიდან ჩანს და არა მხოლოდ ბიუჯეტირების სისწორემცდარობას, არამედ სათანადო საზოგადოებრივი კონტროლის ნაკლებობასაც უკავშირდება.

The Eurasia Foundat Georg

EPRC Economic Policy Research Center

სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი აცხადებს კონკურს სავაჭრო წარმომადგენლის შესარჩევად

ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები: კანდიდატს მოეთხოვება მოახდინოს კომპანია ალდაგის დაზღვევის პროდუქტების რეალიზაცია კომპანიის მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. ვალდებულია დაიცვას კომპანიის იმიჯი და მომსახურების დამტკიცებული სტანდარტები იურიდიულ და კერძო პირებთან მუშაობისას.

ანაზღაურება გამომუშავებით.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
- უმაღლესი განათლება;
- სამუშაო გამოცდილება 5-7 წლამდე, სასურველია გაყიდვების და/ან მარკეტინგის განხრით;
- სასურველია ფლობდეს რუსულ და ინგლისურ ენებს.

შერჩეულ კანდიდატებს ჩაუტარდებათ სპეციალურ ტრენინგი სადაზღვევო კომპანია ალდაგში.

განცხადების წარდგენის პირობები: ავტობიოგრაფიული მონაცემები, 1 ფოტოსურათი და წერილი, სადაც თქვენ მიერ დასაბუთებული იქნება თქვენი კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისობა სადაზღვევო აგენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, შეგიძლიათ გამოგზავნოთ შემდეგ რეკვიზიტებზე: ელფოსტა: HR@aldagi.com.ge ან მისამართზე: მელიქიშვილის გამზ.16.

განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 16 დეკემბერი.

United Nations Development Programme UNDP Georgia

UNDP

15 დეკემბერი 2005

გაეროს განვითარების პროგრამა თავისი პროექტის ""დახმარება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს" ფარგლებში აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

პაციენტთა უფლებების დაცვის ცენტრის მთავარი ექსპერტი (001);
პაციენტთა უფლებების დაცვის ცენტრის პროექტის თანაშემწე (ნახევარი განაკვეთი) (002);
იურიდიული ცენტრის მთავარი ექსპერტი (003);
ტოლერანტობის ცენტრის მთავარი ექსპერტი (004);
ტოლერანტობის ცენტრის პროექტის თანაშემწე (005);
რეგიონული თანაშემწე (006)

მთავარი ექსპერტების და თანაშემწეების ძირითადი ფუნქციაა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერა მისი პროექტის "დახმარება სახალხო დამცველის აპარატს" განხორციელებაში.

მთავარი ექსპერტი და თანაშემწე იმუშავებს გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლისა და პროგრამის ანალიტიკოსის საერთო ზედამხედველობის ქვეშ და შეასრულებს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ მოვალეობებს.

დეტალური ინფორმაცია ძირითადი ფუნქციებისა და მოთხოვნების თაობაზე იხილეთ:

გაერო-ს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდზე: http://www.undp.org.ge/Vacancy.htm

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ დეტალური ბიოგრაფია (CV) და მოტივაციის წერილი ინგლისურ ენაზე დალუქულ კონვერტში მისამართზე: ერისთავის ქ. 9, თბილისი (გაეროს შენობა).

გთხოვთ კონვერტზე მიუთითოთ იმ ვაკანტური თანამდებობის სრული დასახელება და ნომერი, რომელზედაც შემოგაქვთ განაცხადი.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 28 დეკემბერი 18.00

დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ!

ა/წლის 13 დეკემბრიდან შპს "საქართველოს რკინიგზა"-მ საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა საკონკურსო წესით შესასყიდი პროდუქციის ნუსხა (გამცილებლის ფორმები, რელსი და სხვა).

შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა დამატებითი ინფორმაცია გთხოვთ მოიძიოთ http://www.railway.ge (ტენდერები) მისამართზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 სექტემბრის №811 ბრძანებულებით, 2005 წლის 4 ნოემბრიდან ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "საქართველოს საინვესტიციო ცენტრი".

გთხოვთ, დაინტერესებულ ორგანიზაციებს და პირებს მოგვმართოთ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე - ქ. თბილისი ჩიტაძის №4.

ტელ: 28-48-79

სალიკვიდაციო კომისია

სახალხო დამცველის მოხსენება დეპუტატების დაპირისპირების საბაბი გახდა

პირველი გვერდიდან

როგორც სოზარ სუბარმა აღნიშნა, მეშვიდე საპყრობილის ხელმძღვანელის მოადგილეს გელა კიკილაშვილს საკუთარი ხელით ჰყავს ნაცემი სამი პატიმარი, რომელთა ცემის ფაქტები ექსპერტიზითაც დადასტურდა. მიუხედავად სახალხო დამცველის რეაგირებისა, ომბუდსმენის მოთხოვნას გელა კიკილაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე იუსტიციის სამინისტროდან რეაგირება არ მოჰყოლია, ისევე, როგორც - შოთა კოპაძის გათავისუფლების საკითხს.

"ის, რაც ხდება ციხეებში, შეუძლებელია, შოთა კოპაძემ არაფერი იცოდეს და ამ კორუფციული გარიგებების უკან თავად არ იდგეს", - აცხადებს ომბუდსმენი.

იმის დასამტკიცებლად, რომ სახალხო დამცველის აპარატი სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე სისტემატურ მონიტორინგს ახორციელებს, ომბუდსმენმა სტატისტიკა მოიშველია.

"ჩვენ ოფისს ჰქონდა 1700 გასვლა სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებაში და აქედან გამოვავლინეთ 1800 ადამიანის უფლების დარღვევის ფაქტი", - თქვა სუბარმა.

სოზარ სუბარი კომიტეტში რელიგიური უმცირესობის საკითხსაც შეეხო: **"ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს რელიგიური ნიშნით ადამიანების შევიწროების ფაქტები. ძირითადად სექტანტებს, იეღოველებს, ბაპტისტებს ავიწროებენ. მათ შეურაცხყოფენ და არ აძლევენ ოფისებში შესვლის საშუალებას. ერთ-ერთი ასეთი ბაპტისტური ორგანიზაცია ახმეტის რაიონში დაარბიეს. სამწუხაროა, რომ ამ ფაქტს სათავეში ყოფილი დეპუტატის ოჯახის წევრი ედგა",** - განაცხადა სუბარმა.

ომბუდსმენის გუშინდელმა საპარლამენტო ანგარიშმა ხმაურით ჩაიარა.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე ეთნიკური ნიშნით ადამიანების შევიწროების შემთხვევებზეც ისაუბრეს. სუბარის ინფორმაციით, ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა მხოლოდ ბერძნების მიმართ. **"ეს ფაქტები ჩვეულებრივი რიგითი კრიმინალების მიერ იყო ჩადენილი და არაფერი ჰქონდა საერთო პოლიტიკურ შევიწროებასთან",** - დასძინა სუბარმა.

სახალხო დამცველმა თავის ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მოქალაქეთა საკუთრების უფლებების ხელყოფის ფაქტებს. მას მიაჩნია, რომ მართალია, წლების განმავლობაში ლიცენზიები ქვეყანაში კანონის დარღვევით გაიცემოდა, მაგრამ ადამიანებს, რომლებმაც ლიცენზიები მოიპოვეს, ეს ლიცენზიები არ უნდა ჩამოერთვათ და არ უნდა დაინგრეს ის ობიექტები, რომელიც მათ ააშენეს. სუბარმა გორში მცხოვრებ მეწარმე ვინმე ნოდარ მაისურაძესთან დაკავშირებულ ინციდენტზე გაამახვილა ყურადღება, რომელსაც მიწას ართმევენ. ასეთი ფაქტები, მისი თქმით, ხშირად ხდებოდა ზუგდიდში.

სახალხო დამცველის ვრცელი ანგარიშის მიუხედავად, "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელმა კოკა გუნცაძემ, რომელიც გუშინდელ სხდომაზე ოპოზიციის მხრიდან ერთადერთი წარმომადგენელი იყო, მოხსენება დემაგოგიად შეაფასა.

"ანგარიში სრულყოფილი არ არის, ვინაიდან ქვეყანაში არსებობს ტაბუდადებული თემები, რომლებზეც არავინ საუბრობს", - განაცხადა გუნცაძემ, რომელსაც დაპირისპირება საბოლოოდ, ომბუდსმენთან კი არა, იმ კოლეგებთან მოუხდა, რომლებმაც ომბუდსმენის "დამცველობა" იტვირთეს.

კოკა გუნცაძის აღშფოთება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ დეპუტატმა ნაზი არონიამ და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლალი ფაფიაშვილმა (ამ უკანასკნელს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომა მიჰყავდა) კოკა გუნცაძეს სახალხო დამცველის ანგარიშთან დაკავშირებით შეფასებების გაკეთებისა და კითხვის დასმის საშუალება არ მისცეს.

კოკა გუნცაძის განცხადებით, სახალხო დამცველის ანგარიშში, რომელიც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა მოისმინა, არაფერია ნათქვამი სასამართლო სისტემაში არსებულ ადამიანის უფლებების დარღვევის, საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებზე და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე.

„სახალხო დამცველმა არ გაამახვილა ყურადღება სასამართლო სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე. მოსამართლეები იმიტომ ექვემდებარებიან პრეზიდენტისა და საპარლამენტო უმრავლესობის დიქტატს, რომ ისინი არ არიან საკმარისად დაცულები. რა არის დღეს პრობლემა - ბოკერია, გვარამია, სააკაშვილის გარემოცვა თუ ადეიშვილი. ჩვენ სახალხო დამცველის პოზიცია ამ საკითხზე არ მოგვისმენია", - აღნიშნა გუნცაძემ. თუმცა, დეპუტატის უკმაყოფილება მხოლოდ აღნიშნული პრობლემით არ შემოფარგლულა. იგი ომბუდსმენისგან ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზეც ითხოვდა პასუხს.

„არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველი ცდილობენ, გაამართლონ ის სქემა, რომელიც პრესის შეზღუდვაში პირდაპირ ადანაშაულებს მედიამფლობელს. სახალხო დამცველი არ ამბობს იმას, რომ მედიამფლობელი ისეთივე დაშინებულია ხელისუფლების მიერ, როგორც სასამართლო სისტემა", - ამბობს დეპუტატი.

ერთი სიტყვით, ომბუდსმენის გუშინდელმა საპარლამენტო ამგარიშმა ხმაურით ჩაიარა. თუმცა, კრიტიკასთან ერთად სოზარ სუბარმა დადებითი შეფასებებიც დაიმსახურა.

"ეს არის მოხსენება ვრცელი და საფუძვლიანი", - განაცხადა კომიტეტის წარმომადგენელმა ლალი ფაფიაშვილმა.

თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელმა მერაბ ბასილაიამ კი დასაიმედებლად დასძინა: **"უკეთესი მდგომარეობა არც კახა თარგამაძის მინისტრობის დროს იყო".**

150 ლარად პასპორტს ერთ დღეში აიღებთ

კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, საქართველოს მოქალაქეს 24 საათში პასპორტისა და პირადობის მოწმობის აღება დამატებითი ღირებულების გადახდის ფასად შეეძლება.

ახალი კანონპროექტი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან ერთად მომზადდა და ამჟამად განხილვის სტადიაშია.

საქმე ისაა, რომ მოქმედი კანონით, პასპორტისა და პირადობის მოწმობის გასაცემად კანონით დადგენილი 5-დღიანი ვადაა გათვალისწინებული, თუმცა მოქალაქეებს სურთ, გაცილებით ადრე მიიღონ პასპორტი და პირადობის მოწმობა.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის კოტე ვარძელაშვილის განმარტებით, მომავალი წლის დასაწყისში, სწორედ მოქმედ კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, უკვე შესაძლებელი გახდება პასპორტისა და პირადობის მოწმობის 24 საათის განმავლობაში, დაჩქარებული წესით, ვადაზე ადრე აღება. პასპორტის დამატებითი ღირებულება იქნება, სავარაუდოდ, 150 ლარი, ხოლო პირადობის მოწმობის, რომელიც ამჟერად უფასოდ გაიცემა - 25 ლარი.

კანონში შესატანი ერთ-ერთი ცვლილების მიხედვით, დაწესდება პასპორტის აღების ორდღიანი, სამდღიანი და 10-დღიანი ვადა. პასპორტის ოფიციალური ღირებულება კვლავ 35 ლარი იქნება.

"მომავალი წლის იანვრიდან ბრუნვაში შემოვა ახალი პასპორტები. თუკი იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეგისტრაციის ორგანოების თანამშრომლები მოქალაქეებს დროულად არ მისცემენ პასპორტებს, მოქალაქეს დამატებითი ღირებულების უკან დაბრუნება და პასპორტის უფასოდ აღება შეეძლება. სამოქალაქო რეესტრის სისტემის რეფორმა წარმატებით მიმდინარეობს. წელს გაცემული მილიონზე მეტი დოკუმენტი კი მოწმობს, რომ მოსახლეობა გაიოლებული პროცედურით, კორუფციული გარიგებების გარეშე იღებს დოკუმენტებს სამოქალაქო რეესტრის სამსახურებიდან, თუმცა არის გამონაკლისებიც", – აცხადებს იუსტიციის მინისტრის მოადგილე. კოტე ვარძელაშვილის ინფორმაციით, მიმდინარე წელს სამოქალაქო რეგისტრაციის ბიუროებიდან გაიცა მილიონზე მეტი ოფიციალური დოკუმენტი, რაც ზუსტად იმდენივეა, რაც 1994-2003 წლებში გაცემული რაოდენობა.

24 საათი

მოკლედ

მშვიდობისმყოფელებმა ნაბაკევსა და ოტობაიაში ცეცხლი გახსნეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული ინფორმაციით, გუშინწინ ღამით გალის რაიონის სოფლებში ნაბაკევსა და ოტობაიაში 5-10 წუთის განმავლობაში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან და ყუმბარმტყორცნებიდან სროლის ხმა ისმოდა.

შს სამინისტროს მონაცემებით, დადგინდა, რომ გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების N208 ბლოკ-პოსტის არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მშვიდობისმყოფელები გალის რაიონის სოფლებში გადადგილდებოდნენ და ისროდნენ, რამაც მოსახლეობაში შიში და პანიკა გამოიწვია. **ინტერპრესნიუსი**

აზერბაიჯანელი ჟურნალისტები საქართველოს პრეზიდენტს მიმართავენ

აზერბაიჯანის პრესის საბჭომ თბილისის საგამოძიებო იზოლატორში მყოფ ჟურნალისტ გაჩარ ჰუსეინოვთან დაკავშირებით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მიმართვა გამოუგზავნა.

სააგენტო "რეგნუმის" ცნობით, გაჩარ ჰუსეინოვის ახლობლებისა და აზერბაიჯანული პრესის ინფორმაციით, ჰუსეინოვი სრულ ინფორმაციულ იზოლაციაში მოაქციეს. ჟურნალისტთან არ უშვებენ არც ადამიანის უფლების დამცველებს და არც კოლეგებს, რაც მისი უფლებების დარღვევაზე მეტყველებს.

პრესის საბჭოში დარწმუნებულნი არიან, რომ მიხეილ სააკაშვილი უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში გამომავალი აზერბაიჯანული გაზეთის "ახალი აზრის" თანამშრომელი გაჩარ ჰუსეინოვი თაღლითობის ბრალდებით არის დაკავებული. საქართველოს ხელისუფლება უარყოფს დაკავების პოლიტიკურ მოტივს და აცხადებს, რომ ჰუსეინოვის დაპატიმრებას არანაირი კავშირი არ აქვს ჟურნალისტიკასთან; მით უმეტეს, რომ გაჩარ ჰუსეინოვი არც საქართველოში და არც აზერბაიჯანში ლიდერი ჟურნალისტი არ არის. **პრაიმ-ნიუსი**

შსს-ს ახალი საპატრულო ვერტმფრენი ჰყავს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი ამერიკული საპატრულო ვერტმფრენი ჰყავს. ENSTROM 280 SX-ის მოდელის ვერტმფრენის პრეზენტაცია გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის ეზოში მოეწყო.

როგორც შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, ვერტმფრენს სულ მალე დაუმონტაჟდება მძლავრი მანათობელი და იგი სხვადასხვა ოპერაციის განხორციელებისას იქნება გამოყენებული, მათ შორის - დევნისა და კრიმინალების დაკავებას. მინისტრის ინფორმაციით, ვერტმფრენი დაცვის პოლიციის რეზერვებიდან შეიძინეს, "იმ სამსახურის რეზერვებიდან, რომელიც დღევანდელი მონაცემებით, უკვე შვიდჯერ გაძლიერდა და რომლის პირადი შემადგენლობა ოთხჯერ გაიზარდა".

ამერიკული ფირმა ENSTROM-ის მიერ დამზადებული ორადგილიანი ვერტმფრენის ფასი 5002 ათასი ამერიკული დოლარია. მას მფრინავი და ინჟინერი მართავენ.

ვანო მერაბიშვილის თქმით, ვერტმფრენის შეძენა და ექსპლუატაცია საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. თუმცა, სამინისტრო კიდევ გეგმავს ამგვარი ვერტმფრენების შეძენას.

მინისტრმა ახალი ვერტმფრენი პირადად გამოსცადა. **ინტერპრესნიუსი**

თაღლითობის ბრალდებით კავშირ "ძირძველი კრწანისის" ექვსი წევრი დააკავეს

ფინანსურმა პოლიციამ თაღლითობის ბრალდებით კავშირ "ძირძველი კრწანისის" ექვსი წევრი დააკავა. როგორც ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი ლევან მხეიძე აცხადებს, აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია სოფელ კრწანისის ტერიტორიაზე გამავალი ბაქო-თბილისი ჯეიჰანის მილსადენის პროექტის ფარგლებში მოსახლეობისთვის გამოყოფილი კომპენსაციის მიღებისა და განაწილების უზრუნველსაყოფად შეიქმნა; რეალურად კი ამ ორგანიზაციის სახელს ამოფარებული რამდენიმე პირი მოსახლეობის კუთვნილ კომპენსაციას თაღლითური გზით ითვისებდა.

ფინანსური პოლიციის სპეციალურ გამოკვლევათა სამმართველოს დასკვნით, დაკავებულ ხიდაშელს, ახვლედიანს, ხიზანიშვილს, ჟღენტს, ლეთოდიანს და კვანჭიანს კომპანიისგან მოსახლეობის საკომპენსაციოდ მიღებული აქვთ, დაახლოებით, 800 000 ლარი. სოფელ კრწანისის 400 მცხოვრებს მათ ამ თანხიდან მხოლოდ 459 ათასი ლარი გადასცეს, 81 ათასი ლარი საადვოკატო მომსახურების ხარჯებს დასჭირდა, ხოლო, დაახლოებით, 260 ათასი ლარი თაღლითური გზით მიითვისეს.

გარდა ამისა, აღნიშნულ პირებს სოფელ კრწანისის მოსახლეობის ნაწილისგან მიღებული აქვთ 184 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომლის ღირებულებაც, დაახლოებით 184 ათასი ლარი, მათთვის არ გადაუხდიათ. პოლიციის ინფორმაციით, ეჭვმიტანილებს საბოლოო ჯამში კრწანისის მოსახლეობის კუთვნილი 316 ათასზე მეტი ლარის თაღლითური გზით მითვისება ედებათ ბრალად. **ინტერპრესნიუსი**

თავდაცვის სამინისტროს სარემონტო ბაზის გაქურდვის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტმა სარემონტო ბაზის გაქურდვის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, დეპარტამენტში შესული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო წინასწარი ძიება და მე-13 სარემონტო ბაზის სამხედრო მოსამსახურის ვალერი გამბაროვის ბინაში ჩხრეკა ჩატარდა.

სამხედრო პოლიციამ მელითონეთა ქუჩაზე სამი სახარატო ჩარხი აღმოაჩინა. დანადგარები ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების მე-13 სარემონტო ბაზას ეკუთვნოდა და უახლოეს ხანებში ქართულ მხარეს უნდა გადმოსცემოდა.

სამხედრო პოლიციამ ამოიღო ყველა დანადგარი და თავდაცვის სამინისტროს ტერიტორიაზე გადაიტანა. ბაზის ტერიტორიიდან მატერიალურ ფასეულობათა ქურდობის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს. **პრაიმ-ნიუსი**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები

- თითოეული მუხლის კომენტარი
- ციტატები მომიჯნავე კანონებიდან
- ხარვეზები და წინააღმდეგობები
- ლაბირინთები და ხაფანგები
- პრაქტიკული მაგალითები და რჩევები

მეწარმის სამაგიდო წიგნი

მომზადდა და გამოიცა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში, ევრაზიის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. კომენტარების შესაძენად მიაკითხეთ სასალო ქსელს ან ფედერაციას: წერეთლის 61. ტელ. 35 01 57; 35 43 97; 35 67 56.

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

____

ანკეტა

სახელი, გვარი...

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი...

საკონტაქტო ტელეფონი...

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები, ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" ([illegible]);
2. მეტროს სადგური "სარაჯიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 "[illegible]" შენობის [illegible] სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

შპს "საქართველოს რკინიგზის" ქონების მართვის სააგენტოს მიწათსარგებლობის ჯგუფის 4 ვაკანსიაზე ვადიანი ხელშეკრულებით ასაყვან თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსი

ქონების მართვის სააგენტოს მიწათსარგებლობის ჯგუფის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. განათლება
- უმაღლესი;
- მიწათმოწყობა, არქიტექტურა, კომპიუტერული პროგრამები **(PenMap, Map500, ArcView, Excel და Word)** ან უძრავი ქონების სპეციალისტი;
- ქვეყნის მასშტაბით კადასტრისა და საჯარო რეესტრის პროგრამის **KFW-ს** პროექტის კურსდამთავრებული (სათანადო სერთიფიკატი) ან სათანადო გამოცდილებით;
- **Pen Map/GIS და GPS-DPT** სპეციალისტი;

2. მუშაობის გამოცდილება:
- არქიტექტურა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ქვეყნის მასშტაბით მიწის (უძრავი) ქონების რეგისტრაციის პროექტების **KFW-ს, USAID-ის** ან სხვას კონტრაქტორი, სამუშაოზე მუშაობის სტაჟი მინიმუმ 1 წელი;
- ველზე მუშაობის გამოცდილება;
- ხელსაწყოებზე (**GPS-DPT, Potosmart R717 digital camera, Plotters DJ 500 42", Notebooks)** მუშაობის გამოცდილება.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 22 დეკემბერი.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა გამოაგზავნონ:

1. CV;
2. ავტობიოგრაფია;
3. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობის ასლი;
(დიპლომი, სერთიფიკატი);
4. პირადობის მოწმობის ასლი;
5. შრომის წიგნაკის ასლი;
6. ორი ფოტოსურათი.

მისამართი:
შპს "საქართველოს რკინიგზა"
თამარ მეფის გამზირი N 15
ქ. თბილისი
ტელ: 56-53-19(18), 899 700 727

ფეხბურთი

დევიდ ბექჰემი: "მომწონს ლოპეს კაპო"

გუნდში ახალი მწვრთნელის მოსვლის შემდეგ მადრიდის "რეალის" ინგლისელმა ნახევარმცველმა დევიდ ბექჰემმა საკუთარი აზრი ჩამოიყალიბა. მას მოსწონს ლოპეს კაპოს მეთოდები.

- როგორ ჩაიარა ახალმა დღეებმა ლოპეს კაპოს საზოგადოებაში?

- გუნდი უაღრესად სერიოზულად და გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობს. დროა მატჩები მოვიგოთ.

- გუნდში კვლავ მკვეთრად განისაზღვრა შენი ფუნქცია. ბედნიერი ხარ?

- მე ერთნაირად მომწონს როგორც ფლანგზე, ისე მინდვრის შუაგულში თამაში.

- მწვრთნელმა გითხრა, კონკრეტულად როგორ თამაშს მოელის შენგან?

- მასთან არ მისაუბრია. მე მხოლოდ ვვარჯიშობ.

- როგორია შენი შთაბეჭდილებები ახალ მწვრთნელზე?

- ექვსი მწვრთნელი სამ წელიწადში. ამის გადახარშვა ძალიან ძნელია. ამჟამად ჩვენთან ლოპეს კაპოა და მეჩვენება, რომ ის ძალიან კარგი სპეციალისტია. იმედი მაქვს, გუნდში დიდხანს დარჩება.

- არ გეჩვენება, რომ ახალი მწვრთნელი გუნდს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს?

- ვარჯიშები ყოველთვის დამღლელია. ჩვენ კი ხშირად დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ. ახალ მწვრთნელთან მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს და ძალიან კარგია თავისი ტაქტიკური შემადგენლობით.

- ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მოახერხეთ თუ არა თქვენს მეგობარ როი კინთან საუბარი?

- ის წარმოუდგენელი ადამიანი და ფეხბურთელია. მე დიდ კლუბში ვთამაშობ და აქ თამაშს ბევრი ისურვებდა. ჩვენ ყველას გვინდა საშობაოდ მოვეშვათ, დავისვენოთ, მაგრამ ისეთ დიდ კლუბში, როგორიც მადრიდის "რეალია", მუშაობის პროცესი, მათ შორის სატრანსფეროც, ერთი დღითაც არ წყდება. ასე რომ, შეიძლება როის გადმოსვლა საშობაო საჩუქრად მივიჩნიოთ. ის საუკეთესოა გუნდის ლიდერის თვალსაზრისითაც. დარწმუნებული ვარ, გუნდს ძალიან გამოადგებოდა, მაგრამ თუ მას "სელტიკში" გადასვლა სურს, ამაზე რა უნდა ვთქვა - მხოლოდ მას შეუძლია საკუთარი მომავალი აირჩიოს.

- თუ კინი გუნდში მოვა, მას შეუძლია ძირითადი შემადგენლობიდან სერხიო რამოსი ამოაგდოს?

- რამოსი 19 წლისაა. შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ არა მგონია, რომ კინის მოსვლის შემდეგ მან ვერ მოახერხოს ძირითად შემადგენლობაში თამაში. როის გუნდისთვის გაცილებით მეტის მიცემა შეუძლია, ვიდრე უბრალოდ მინდორზე ვიღაცის ადგილის დაკავებაა.

- როგორც ჩანს, მომავალ წელს გუნდში მიხაელ ბალაკი გამოჩნდება.

- ბალაკს დიდი პოტენციალი აქვს. შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ მას, როგორც ადამიანს, არ ვიცნობ.

- კიდევ ერთი გვარი - კასანო. რა შეგიძლიათ ამ ფეხბურთელზე თქვათ?

- ვფიქრობ, ის ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ პრეზიდენტთან მის კანდიდატურაზე ჯერ არ მისაუბრია.

- პარასკევს ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრაა. თქვენ გაქვთ წარმოდგენაში სასურველი გუნდების ნუსხა?

- ჩემპიონთა ლიგაში ყველა მატჩი მძიმეა. თანაც სუსტი მეტოქეებიც აღარ დარჩნენ. ვისურვებდი, რომ კენჭისყრამ ინგლისური გუნდი გვარგუნოს მეტოქედ.

- ფიგუმ თქვა, რომ მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ სურს თამაში.

- ფიგუ ჩემი მეგობარია და მასთან შეხვედრას ვისურვებდი, მაგრამ უპირატესობას მაინც ინგლისურ კლუბებს ვანიჭებ.

- კვირას შეხვედრა გელით "ოსასუნასთან" - დღეისთვის ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტთან.

- ძალიან რთული შეხვედრა იქნება. თანაც "ბერნაბეუს" უაღრესად მომთხოვნი გულშემატკივრის წინაშე. პამპლონელები ძალიან კარგად თამაშობენ, მაგრამ "მალაგის" წინააღმდეგ ჩვენც შესანიშნავად გამოვიყურებოდით. ამიტომ არავითარი ეჭვი არ არსებობს იმისთვის, რომ კვირას ეს თამაში ვერ მოვიგოთ.

მოკლედ

"ბარსა" რეკორდზე მიდის

შაბათს ესპანეთის ჩემიონატის მორიგ შეხვედრაში გამარჯვება "ბარსელონას" ახალ საკლუბო რეკორდს დაამყარებინებს. "კადისთან" გამარჯვება ქვეყნის ჩემპიონატში რიგით მე-12 იქნება, რაც კლუბის ახალი რეკორდი იქნება. წლევანდელი 11-მატჩიანი წარმატებული სერია კატალონიელთა მიღწევის განმეორება იყო, რომელიც 1955-1956 წლების სეზონს განეკუთვნებოდა.

უეფამ "ჩელსის" ფეხბურთელი დასაჯა

უეფას სადისციპლინო კომიტეტმა 2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა განის ნაკრებისა და ლონდონის "ჩელსის" ნახევარმცველ მიშელ ესიენს. ეს გადაწყვეტილება აფრიკელის არასპორტულმა საქციელმა გამოიწვია. ჩემპიონთა ლიგის მატჩში "ლივერპულის" წინააღმდეგ ესიენმა გერმანელ დიტმარ ჰამანს შეურაცხყოფა მიაყენა.

შარაპოვამ ლებრონ ჯეიმსს უქომაგა

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი მარია შარაპოვა "კლივლენდის" მონაწილეობით NBA-ის მატჩს დაესწრო. მატჩის წინ შარაპოვამ "კლივლენდის" ლიდერი ლებრონ ჯეიმსი გაიცნო, რომელიც წელს ფანტასტიკურ თამაშს აჩვენებს. თავის ახალ გაცნობილ ადამიანს შარაპოვამ მომხიბვლელი და სასაცილო ახალგაზრდა უწოდა და აღნიშნა, რომ დაახლოებით მსგავსი ცხოვრების წესი აქვს, რაც ჯეიმსს. პასუხად ლებრონ ჯეიმსმა თქვა, რომ ის შარაპოვას აუცილებლად დაამარცხებს ჩოგბურთში, რადგან მის არსენალში ფინტების მთელი კასკადია, რომელთა წინაშეც შარაპოვა უძლური იქნებოდა.

მაიკ ტაისონი რონალდ რაიტზე იმუშავებს

მძიმე წონაში ყოფილი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი მაიკ ტაისონი ნიუ-იორკში ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს პირველ საშუალო წონაში რონალდ "ვინკი" რაიტს და მის მფლობელობაში მყოფი პრომოუტერული კომპანია Winky Promotions-ის ხელმძღვანელობას შეხვდა. მხარეებმა განიხილეს ტაისონთან თანამშრომლობის შესაძლებლობა. კერძოდ მაიკის ფუნქციებში ახალგაზრდა, პერსპექტიული მოკრივეების მოძიება იქნება და ის იმუშავებს კონსულტანტის თანამდებობაზე. შეხვედრის მონაწილეთა კომენტარებს თუ დავეყრდნობით, საუბარი უაღრესად პროდუქტიული იყო. უფრო დეტალური ინფორმაცია უახლოეს დროში გახდება ცნობილი.

მონტგომერი სპორტიდან წავიდა

ამერიკელმა სპრინტერმა ტიმ მონტგომერიმ, რომელსაც BALCO-ს ლაბორატორიასთან თანამშრომლობისთვის 2-წლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, სპორტული კარიერა დაასრულა. ამის შესახებ მონტგომერიმ გაზეთ "ლოს ანჯელეს თაიმსს" უამბო. სამშაბათს სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ მოწმეთა ჩვენების საფუძველზე მონტგომერი დოპინგის მოხმარებაში დამნაშავედ ცნო. მძლეოსანმა აღნიშნა, რომ არ აპირებს IAAF-ს დაუბრუნოს 2001 წლის 31 მარტს გამომუშავებული საპრიზო თანხა.

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000141408, კოდი 220101107) საქართველოს მთავრობის 2005 წლის 3 ნოემბრის N197 დადგენილების "გადაუდებელ ნაპირსამაგრ სამუშაოთა განმსაზღვრელი კომისიის შექმნის შესახებ" საფუძველზე, აცხადებს ღია ორ ეტაპიან ტენდერს მდინარეთა პრევენციული გადაუდებელი ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების (ინტელექტუალური მომსახურება) შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა იმ დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია მდინარის კალაპოტების ნაპირგამაგრებითი ნაგებობების პროექტირების გამოცდილება

2. მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან ------ 2006 წლის 15 მარტამდე (თითოეულ საპროექტო ობიექტზე ვადების შეთანხმება მოხდება ინდივიდუალურად. გამარჯვებული საპროექტი ორგანიზაციის მიერ საპროექტო სამუშაოების დაწყება - დაუყოვნებლივ, ხელშეკრულების გაფორმებისთანავე)

დაინტერესებულ პირებს გასაწევი მომსახურების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები, სადაც მოცემული იქნება ზოგადი მოსაზრებები გასაწევი მომსახურების განხორციელების შესახებ და აღნიშნული იქნება ის ძირითადი სტანდარტები და ნორმები, რომელთა გამოყენებითაც მოხდება საპროექტო მომსახურების განხორციელება, ქართულ ენაზე ღირებულების გარეშე, უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 3 იანვრის 1000 საათიდან 2006 წლის 4 იანვრის 1200 სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

იმ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებს, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, განიხილავს შესაბამისი საექსპერტო კომისია, რომლის დასკვნის საფუძველზეც სატენდერო კომისია ტენდერის პირველ ეტაპზე განსაზღვრავს პრეტენდენტებს, ხოლო შემდეგ განახორციელებს შერჩეული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვას.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასება.

ტენდერის მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

ე) ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.1.3 როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას მომსახურების გაწევისათვის საჭირო მოწყობილობა-ხელსაწყოების შესახებ.

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

N	მოწყობილობა - ხელსაწყოების დასახელება	აღწერილობა, მოდელი და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან)
1 2 და ა.შ.					

-- ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)
1 2 და ა.შ.			

-- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

გასაწევი მომსახურების სახე	სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება
1 2 და ა.შ.		

-- ლიცენზია ან ნებართვა.

4.2. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

-- იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ უკანასკნელი 3 (სამი) წლის (2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში გაწეული მომსახურების საერთო მოცულობა ლარებში;

-- ინფორმაცია, იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში გაწეული ანალოგიური მომსახურების გამოცდილების შესახებ. ინფორმაცია წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

N	მომსახურების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება
1 2 და ა.შ.			

5. მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

6. მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო. სატენდერო დოკუმენტაციის შეძენის ვადა დაზუსტდება ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ და პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 2% ოდენობით.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.63.95 გია დიასამიძე, იური ტიხანაშვილი

შენიშვნა: 2006 წლის 1 იანვრიდან მდინარეთა პრევენციული გადაუდებელი ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების (ინტელექტუალური მომსახურება) შესყიდვის პროცედურები განხორციელდება 2005 წლის 20 აპრილს მიღებული საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მოთხოვნათა შესაბამისად, რომელიც ძალაში შედის 2006 წლის 1 იანვრიდან.

სატენდერო კომისია

ლაშა და ოპერა

ლაშა ბუღაძე: დღევანდელი "დიალოგების" სტუმარია რეჟისორისი და ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დირექტორი დავით საყვარელიძე. გამომდინარე აქედან, ჩვენ თეატრის გეგმებზე ვისაუბრებთ. ამას გარდა, ზოგადად თეატრებში მიმდინარე რეფორმასაც შევეხებით, რომლის თანახმადაც მათ ერთპიროვნული მმართველობა ექნებათ. სამომავლოდ დირექტორებმა უნდა განაგონ, როგორც თეატრის შემოქმედებითი პროცესები, ისე ფინანსური და საორგანიზაციო. როგორ უყურებთ ამ რეფორმას და რისი მომტანი იქნება ის თეატრებისთვის?

დავით საყვარელიძე: ამ რეფორმას ვემხრობი და ვფიქრობ, ძალიან ხელსაყრელი უნდა იყოს იგი სახელმწიფო თეატრებისთვის. მართვის სტრუქტურა მარტივდება და მეტი საშულება გვექმნება ერთიანი პოლიტიკის და სტრუქტურის შექმნისა. ამას გარდა გვენიჭება სრული თავისუფლება, რომ დამოუკიდებლად მოვიზიდოთ ინვესტორები, ანუ აღარ ვიყოთ ასი პროცენტით დამოკიდებულნი იმაზე, რასაც სახელმწიფო გაიღებს. ეს რეფორმა ძალზედ მნიშვნელოვანი მოვლენაა, რათა ჩვენს თეატრებს გამართული მენეჯმენტი და წარმატებული შემოქმედებითი პროცესები ჰქონდეთ.

ლაშა ბუღაძე: მაინტერესებს ის გეგმები, რომელიც გააჩნია თეატრს შემოქმედებითი თვალსაზრისით. სულ რამდენიმე დღის წინ იყო "რეკვიემი" ბრწყინვალე შესრულებით. აქ დიდი დამსახურება მიუძღვის მსოფლიო ოპერის ერთ-ერთ საუკეთესო ბანს, პაატა ბურჭულაძეს, რომელიც თავადაც ღებულობდა მონაწილეობას "რეკვიემში". ამ ბოლო დროს თეატრი მართლაც ანებივრებს მსმენელს ვარსკვლავებით. რა იგეგმება საოპერო და საბალეტო რეპერტუარში, თუმცა მაინც ოპერით დავიწყოთ, არ დავმალავ, რომ ოპერა უფრო მიყვარს.

დავით საყვარელიძე: პირველ რიგში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 30 დეკემბერს საახალწლო კონცერტს გამართავენ დები ჭყონიები. საოპერო ხელოვნების მოყვარულებმა იციან, რომ ქალბატონები ეთერი და ნატო ევროპაში, ოღონდაც სხვადასხვა ქალაქებში მოღვაწეობენ. ქალბატონი ეთერი რამდენიმე წლის წინ იყო თბილისში, თუმცა ასეთი კონცერტი, დების კონცერტი არ ყოფილა. ძალიან საინტერესო საღამო გველის. 2006 წლისთვის დაგეგმილი გვაქვს აღდგენითი სპექტაკლი "ბალ-მასკარადი", მას გოგი ჭიჭინაძე აღადგენს. შემდეგ იქნება თაქთაქიშვილის "მინდია", რომელსაც დადგამს ბატონი გიზო ჟორდანია. მხატვარი უშანგი იმერლიშვილი იქნება, დამდგმელი დირიჟორი კი ზაზა აზმაიფარაშვილი. შემდეგი დადგმა გვექნება ვერდის "ტრუბადური", რომელსაც შვედეთის ყველაზე გამორჩეული ფესტივალისთვის, დალჰალასთვის განვახორციელებთ. მას დადგამს ინგლისელი რეჟისორი და ავსტრალიელი მხატვარი. ეს ორი ადამიანი ცნობილი არიან იმით, რომ ძალიან ბევრი სპექტაკლი აქვთ ლონდონში განხორციელებული. მათ შორის ყველაზე ცნობილი მიუზიკლები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში მიდის ლონდონის თეატრის სცენაზე. მათ ჩამოსვლას საქართველოში ასევე აფინანსებს დალჰალას შვედეთის ფესტივალი. მათ უნდა დადგან სპექტაკლი თბილისში ჩვენს მსახიობებთან და ჩვენს ვარსკვლავებთან ერთად. რვიდან ცამეტ აგვისტომდე დაგეგმილი გვაქვს გასტროლები შვედეთში. საინტერესო იყო, რომ შარშან მოლაპარაკებების დროს დაემთხვა დიდი კონფერენცია, რომელშიც ჩვენი პრეზიდენტიც იღებდა მონაწილეობას. ჩვენ შვედეთში შევხვდით და ვთხოვეთ, რომ მოსულიყო და ენახა ის ადგილი, სადაც ჩვენი თეატრის დასი გამოვიდოდა. ის ხომ ძალიან საინტერესო ადგილია, ვულკანური წარმოშობის კრატერის ძირშია სცენა და დარბაზი მოწყობილი, ძალიან საინტერსო აკუსტიკა იქნება. მაშინ ჩვენი პრეზიდენტი სცენაზე, პირდაპირ ერთ-ერთი რეპეტიციის დროს შევიდა. მაშინ გადაწყდა, რომ აუცილებლად უნდა მიგველო იქ მონაწილეობა. ამას გარდა დაგეგმილია ლეონკავალოს "ჯამბაზები", რომელსაც დადგამს ბატონი თემურ ჩხეიძე. ხვდებით, რომ შემდეგი წლის რეპერტუარი ძალიან დატვირთულია. თანაც ჩვენი თეატრის კარი ღიაა არაერთი რეჟისორისთვის. ალბათ მოგეხსენებათ, რომ თემურ ჩხეიძეს ოპერის თეატრში მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ, არადა ეს ძალიან დიდი დანაკლისი იყო, ჩვენი თეატრისთვის. ჩხეიძის დადგმები ცნობილია მეტროპოლიტენის თეატრში, მარინის თეატრში, და კიდევ სხვაგან. გყავდეს ასეთი რეჟისორი და არ იყენებდე მის შესაძლებლობებს, ესეც ძველი მეთოდების გამოვლინება არის, როცა ერთი ადამიანი, პირადი ინტერესებისა და მოსაზრებების გამო წყვეტდა ყველაფერს.

ლაშა ბუღაძე: მინდა შევეხოთ რეგიონალურ თეატრებს, კერძოდ საოპერო თეატრებს. ყველას მოგვეხსენება, რა სავალალო მდგომარეობაშია ქუთაისის თეატრი. ბათუმის თეატრმა ასლან აბაშიძის დროს კომიკური იერსახე მიიღო, იგი პრინციპში ბავშვთა ოპერად გარდაიქმნა. ეს ორი თეატრი არის უფუნქციოდ, არადა არსებობს დასები: ორკესტრი და გუნდი. რა შეიძლება ამის თაობაზე ითქვას და გაკეთდეს?

დავით საყვარელიძე: რაც შეეხება იმერეთის რეგიონს, მასმედიის საშუალებით არაერთხელ თქმულა, რომ ნინო ბურჯანაძე ჩაუგდა სათავეში იმ საქმეს, რომელიც იმერეთის რეგიონში კულტურული ცხოვრების აღზევებას უნდა ემსახურებოდეს. არც ერთ მუსიკოსსა და მუსიკაში ჩახედულ ადამიანს არ ავიწყდება, რას წარმოადგენდა ამ თვალსაზრისით ქუთაისი, რადგანაც იყო პერიოდი, როცა ქუთაისი ამარაგებდა ქართულ მუსიკალურ სამყაროს. ამიტომაც ქუთაისს უნდა დავუბრუნოთ ის დონე, რომელიც მისი ტრადიციებისთვის იქნება შესაფერისი. სამომავლოდ ვიცი, რომ იგეგმება ქუთაისის ოპერის თეატრში ინვესტიციის ჩადება. თავკომბალა საქართველო ვის სჭირდება? იგივე ხდება ბათუმის თეატრშიც. ბატონი ზაზა აზმაიფარაშვილი ბათუმის საოპერო სტუდიასთანაც თანამშრომლობს. ძალიან საინტერესო პროექტები იგეგმება, მათ შორის "ტრავიატა", რომელსაც ბათუმში ჩვენი თეატრი განახორციელებს. ჩვენ ჩავალთ და მათ ამ სპექტაკლს დავუდგამთ.

დაბოლოს, მინდა ვთქვა, ძალიან მიხარია, რომ ქართველ მაყურებელს არ დავიწყნია კარგი ოპერის ხიბლი და გემო. და რაც მთავარია, მიხარია, რომ იგი ძალიან მკაცრად, ხან დადებითად და ხანაც უარყოფითად აფასებს ქართული საოპერო განვითარების პროცესებს. საოპერო ხელოვნების განვითარება არის ქვეყნისთვის ლაკმუსის ქაღალდივით. თუ გვინდა, ქალაქში იყოს მაღალკულტურული და საინტერესო ცხოვრება, მაშინ, პირველ რიგში, თეატრალურ ხელოვნებას უნდა მივხედოთ.

"ჯეობარი" - მათხოვრული წამხედურობა და საცოდაობა

რუსეთში სუსხიანი ღამეა. არ მეძინება. სამშობლოზე ვფიქრობ. ნუ ერევიო, ნუ ეჩრებიო, შარს მოგდებენო, გაგსვრიანო, დაიმალეო, ჩუმად ოჯახი ზარდეო, იქნებ დავბრუნდეთო... ასე ვართ ყოველი მეხუთე ქართველი გახიზნული უცხოეთში, პირველად, ასე მრავალრიცხოვნად, ჩვენი ჯილაგის არსებობის განმავლობაში, და ამ უცხოეთში რას არ ნახავს კაცი. იბრძოლებ, რომ შენები არჩინო, ძილს და ახალგაზრდობას დაკარგავ, საღამოობით სახლში მოხვალ და ისევ სამშობლოში ხარ თითქოს, შენი ცოლ-შვილის თვალების, შენი საყვარელი წიგნების და სათანამგზავრო ტელევიზიის წყალობით.

წელიწადი არ გავა, რომ თხუთმეტიოდეჯერ თბილისში არ ჩავფრინდე. მერე უცხოეთში ბრუნდები და შენს თავს ეკითხები: რატომ ავაგე თვითონ ეს გალია და როგორ მეყოს ვაჟკაცობა, რომ დავშალო ის. ღმერთს სთხოვ შველას და ასე ხარ ერთ-ერთი ყოველი მეხუთე ქართველთაგანი: უცხოეთში დღისით და თითქმის სამშობლოში საღამოს, ღამით და დილით. სამშობლოს სიხარულს ასმაგად გრძნობ უცხოეთში, მისსავე დარდს, მარცხს ან სირცხვილს - ათასმაგად.

ნუ ერევიო, ნუ ეჩრებიო, შარს მოგდებენო, გაგსვრიანო, დაიმალეო. . . მაგრამ რა ვქნა, ზოგჯერ ვერ ვიძინებ. მაშინ გული მიცემს, კალამს ვიღებ და თქვენ გწერთ, როგორც ახლა ამ ახალი უბედურებით აღშფოთებული.

როდესაც მრუშ დასავლეთ ევროპაში, ან უფესვო ამერიკაში ცხოვრობ, მათი სილამაზეც გხიბლავს და მათი პათოლოგიებიც არ გაოცებს. ზნეობის გამოფატვრა, თავისუფლებად წოდებული გახრწნილობა და აღვირახსნილობა, ათი მცნების ამორჩევითი ვითომ დაცვა - დასავლეთის სამწუხარო, მაგრამ მაინც ორგანული ევოლუციის შედეგია. ამიტომ, როდესაც, მაგალითად, MTV-Generation-ის დასავლურ სიმრუშეს ხედავ, გულს გირევს, მაგრამ თვალში აღარ გეცემა. აბა, სადამდე უნდა მიეყვანათ ამდენ სულიერ მწვალებლობებს ადამიანი, თუ არა თავისუფლების დამახინჯებულ გააზრებამდე, პედერასტობამდე, ამორძალურ ფემინიზმამდე, ფულის მონობამდე, პიროვნების უკიდეგანო მარტოობამდე, ალბერ კამიუსეულ ეგზისტენციალურ დეპრესიამდე?

მერე, თუ სლავებში მოხვდები და მათშიც ასე გავრცელებულ დასავლეთის წამხედურობას შეავლებ თვალს, რატომღაც არც ის გაგაოგნებს და არც თვალში გეცემა.

გასული საუკუნის ოცი-ოცდაათიან წლებში, გაჟლიტა რა რუსეთმა თავისი ხელით ის მცირედი საღიც კი, რაც ჰქონდა (თუ საერთოდ ჰქონდა რამე), მან, სამწუხაროდ, მოისპო იმუნიტეტი შემოსული ვირუსებისაგან, დარჩა შიშველი და თავის პირველყოფილ ტყიურობას დაუბრუნდა. ამიტომ, როგორც სტეპებსა და არყის ხის ტყეებში ფოთლებით თმაშემკულ და ხოროვოდების მატარებელ ულამაზეს სლავ ქალწულებს გათხოვებამდე ქალიშვილობა არ მოეთხოვებოდათ, ზუსტად ისე ვერ მოსთხოვ კაცი ნავთობზე აშენებულ ურბანისტულ რუსეთს აღვირაუხსნელობას და თავმდაბლობას.

მაგრამ, მერე შეხედავ ჩვენს ჯეობარს და გული აგერევა. მთელს მსოფლიოში ნაცხოვრებ ქართველს, რომელსაც მთელი ეს Reality Show-ების ფსევდო კულტურა დედანში გაქვს ნანახი, დედანის ქართული იმიტაცია მხოლოდ საცოდაობის შეგრძნებას გიჩენს. და არა იმიტომ, რომ ტექნიკური შესრულებაა სუსტი, არამედ იმიტომ, რომ მისი ფორმაც და შინაარსიც უფრო უადგილო და გროტესკულია ჩვენს სინამდვილეში, ვიდრე "განდაგანას" ყოველდღიური რუბრიკა იქნებოდა CNN-ზე.

დიდი ცხვირები, თითქმის ტანადი, ტლანქი გოგოები, ქალაჩუნა ბიჭები, ერთმანეთის პროშნა, პრანჭვა, ქოლვა იმისათვის, რომ ამ უპატრონო ბავშვებმა ერთი ნახმარი ჯიპის ფული მოიგონ. სიცარიელისგან და სუბოტექსისგან გასაცოდავებული თაობის ჩაშტერება ამ საზიზღრობაზე და უზნეობის ჩირქი, რომელიც ათიათასობით ადამიანს ედება, როგორც SMS-ების ვირუსი. ნეონისა და პლასტმასის სტუდია, რომელშიც ეს ხელოვნური ვაკხანალია ხარობს. სტუდიის მიღმა კი ყოველი მეთხუთმეტე ადამიანი სახლიდან გამოგდებული და ღირსებაშელახული ჩვენი თანამემამულეა, რომელსაც ხშირად ძილში ზღვის სუნი და ახლობლების საფლავები ესიზმრება.

მახსოვს, თბილისის პირველ სკოლაშიც და სახელმწიფო უნივერსტეტშიც, როდესაც ამერიკელებთან პირველი გაცვლითი პროგრამები დაიწყო, აღტაცებით ვხვდებოდით ჩვენს უცხოელ თანატოლებს. რამდენიმე მეგობარი მყავდა, რომლებიც ყველანაირად "ამერიკელობდნენ" და თავიანთი ქართველობის რცხვენოდათ. ჩამოსული სტუმრებიდან ყველაზე შინაარსიანი ადამიანები მეყსეულად ამოარჩევდნენ ხოლმე ჩვენში ამ პრანჭიებს და თითქმის გაუცნობლად მოიძულებდნენ.

ასეა აქაც: აჩვენეთ ჩვენი სამშობლოს ეს ნაწილი კოსმოპოლიტური მეგაპოლისების საუკეთესო წარმომადგენლებს და მათ სასაცილოდ არ ეყოფათ ეს ფულურო წამხედურები.

ადამიანის სწრაფვა სხვისი კულტურებისადმი მხოლოდ მაშინ იწვევს პატივისცემას და თანაგრძნობას, როდესაც ადამიანს მშობლიური ღერძი გააჩნია და მასზე ჯანსაღი ზედნაშენის გაკეთება სურს. მონური წამხედურობის ისტერიულობა კი ყოველთვის უბადრუკი პროვინციალიზმის შთაბეჭდილებას ტოვებს, ამ სიტყვის ყველაზე უარყოფითი მნიშვნელობით.

ქაჯები მეტყვიან: ჩვენ დემოკრატია გვაქვს, გადაცემას რეიტინგი აქვს, შენ ვინა ხარო. ქაჯებს ვუპასუხებ: სუბოტექსსაც რეიტინგი აქვს და იქნებ ახლა პავლიკა მოროზოვობას, ღალატს, ფულისათვის უნამუსობის ჩადენას და ჩვენი შვილების ამით მოწამვლასაც რეიტინგის გამო თავი დავუხაროთ?!

იმ ვაი-პროგრესული ხალხს, ვისაც ჰგონია, რომ ასაკრძალი და დასაძრახი მხოლოდ კანონმდებლობის ჩარჩოებით შემოიფარგლება, ვურჩევ: ჩვენი ერის მამების მემკვიდრეობას გადახედონ, თუნდაც ვაჟას "კოსმოპოლიტიზმი და ნაციონალიზმი" წაიკითხონ - ეგება რამეს მიხვდნენ.

იმ უბედურ ბავშვებს რას ვერჩი?! ადამიანს, რომელიც ოჯახიდან ისე გავარდება, რომ ყველას შეარცხვენს, მარტო თანაგრძნობა სჭირდება, რომ ამ ცხოვრებაში რამე ეშველოს. მაგრამ ამ "გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის" ხელმძღვანელობას რა ეშმაკი შეგიჩნდათ? ხშირად მესმის ლოზუნგები პრესის თავისუფლებასა და პასუხისმგებლობაზე. ნუთუ თავისუფლების აპოთეოზი თქვენთვის ისაა, რომ ყოველ საღამოს გვიჩვენოთ ფილმები მამათმავლებზე? და ნუთუ ისე ვიწროდ იცქირებით სამყაროში, რომ პასუხისმგებლობა მხოლოდ რეპორტირებული ფაქტების გადამოწმების აუცილებლობა გგონიათ?

მინდა გითხრათ, რომ იმ დასვლეთში, საითაც ბევრი თქვენთაგანი ბრმა აღტაცებით მიილტვის, ბევრი ჩვენთაგანი ვიყავით მანამ, სანამ თქვენ ჟურნალისტები გახდებოდით. და, თუმცა უამრავი გვაქვს დასავლეთიდან ჩამოსატანი და გადმოსაღები, მაინც ნუ ავურევთ მოსანელებელს მოუნელებელში.

მაპატიეთ, თუ ვინმეს ვმოძღვრავ, მით უმეტეს, რომ, სამშობლოდან გაქცეულს, მიმაჩნია, რომ, ვინც სამშობლოში დარჩით და რაღაცას აკეთებთ, ჩემზე ათასჯერ უფრო კარგი მამულიშვილები ხართ. მაგრამ, მერწმუნეთ ათასი გზების მტვერნაყარ კაცს: არ არის არაფერი უფრო ტკბილი და მისაბაძი, ვიდრე ნამდვილი საქართველო, და არ არის არაფერი უფრო ღირსეული და თანამედროვე, ვიდრე ქართული ოჯახის წესი.

ამიტომ, მოდით, დასავლეთისგან ვისწავლოთ ისეთი რაღაცეები, როგორიცაა ჩვენში აგროვებული ფულის არ მოპარავა, თავგასული ძალაუფლების მშვიდობიანი კასტრირება, კანონთან ყველას თანასწორობა და დემოკრატიის სხვა თვალწარმტაცი თვისებები. მაგრამ, მაღალმა რმერთმა დაგვიფაროს იმ აზრისგან, რომ ეს აუცილებელი საკმარისია ჩვენი წინსვლისთვის. ამიტომ, როგორც რიგითი თანამემამულე, გთხოვთ, ეგებ ეს უბედური გადაცემა დახუროთ, ეს ბავშვები მშობლებთან დააბრუნოთ (თუ მათ ისინი ჰყავთ) და სხვანაირად შეიქმნათ მაღალი რეიტინგი. მაგალითად, სიჯანსაღეზე საუბრით, რომელიც ქართველს ასე ენატრება.

..... ნუ ერევით, ნუ ეჩრებით, შარს მოგდებენო, გაგსვრიანო, დაიმალეო, ჩუმად ოჯახი ზარდეო, იქნებ დავბრუნდეთო. სად დავბრუნდეთ, თუ ასე გაგრძელდა?

ლევან ვასაძე

იბეჭდება სარეკლამო ფართზე

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION
საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი
INTERNATIONAL STUDENT ADVISING CENTER

ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა აცხადებს

კონკურსს

საზოგადოებრივი აზრის კვლევა -
მოსახლეობის მოლოდინები საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამირებასთან დაკავშირებით

ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა აცხადებს კონკურსს სახელწოდებით " საზოგადოებრივი აზრის კვლევა - მოსახლეობის მოლოდინები საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამირებასთან დაკავშირებით". კონკურსი ცხადდება საზოგადოებრივ კვლევებზე ორიენტირებული ორგანიზაციებისთვის. პროექტი შესრულებული უნდა იყოს ფონდის საგანაცხადო ფორმის მიხედვით (http://osgf.ge/?show=manual).

გამარჯვებული ორგანიზაცია ვალდებულია:

1. განახორციელოს რაოდენობრივი ტიპის საზოგადოებრივი აზრის კვლევა საქართველოს მასშტაბით. გამოკითხულ რესპოდენტთა რაოდენობა უნდა იძლეოდეს ცალკეული რეგიონების რეპრეზენტატიული შედარების საშუალებას. კვლევა უნდა განხორციელდეს შემდეგი თემატიკის გათვალისწინებით: სამაუწყებლო ბაზრის დღევანდელი მდგომარეობა, ელექტრონული ბაზრის მომხმარებელთა კვლევა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზები, ადგილობრივი პრობლემატიკის პრიორიტეტულობა დღევანდელ მაუწყებლობაში.

2. კვლევის დასრულების შემდეგ მოამზადოს შესაბამისი ანგარიში და საპრეზენტაციო ფაილი;

3. სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამასთან ერთად ორგანიზება გაუკეთოს კვლევისა და ანალიზის შედეგების პრეზენტაციას. პრეზენტაციაზე მოწვეულ უნდა იქნეს ყველა დაინტერესებული მხარე: მაუწყებლობის წარმომდაგენლები და ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.

ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 25 000 აშშ დოლარს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება 2005 წლის 19 დეკემბრიდან 2006 წლის 20 იანვრის 17:00 საათამდე. მისამართი ჭოველიძის ქ. 10. ტელ: 25-04-63, 25-05-92 ფაქსი: 29-10-52, ელ ფოსტა - irakli@osgf.ge. საკონტაქტო პირი: ირაკლი ცერცვაძე, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი.

კონკურსის შესახებ განცხადების ვრცელი ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ფონდის ვებ გვერდზე (http://osgf.ge/?show=competitions) ან მოიპოვოთ ფონდის მისაღებში. კონსულტაციები კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ჩატარდება ყოველ სამშაბათს 11:00 საათზე ფონდის ოფისში.

** საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" ოფისი არ იმუშავებს 2005 წლის 29 დეკემბრიდან 2006 წლის 6 იანვრის ჩათვლით.*

გაზეთ "24 საათის" 2005 წლის 5 დეკემბრის (N269) ნომერში გაიპარა შეცდომა. კერძოდ, გაზეთის B2 გვერდზე, რუბრიკის "სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ" მესამე ცხრილის მეოთხე სვეტში, აუქციონის ჩატარების ადგილზე, ნაცვლად "განცხადების მიღება მოხდეს ა/წ 11 ნოემბრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით, აუქციონი ჩატარდეს 2005 წლის 12 დეკემბერს" უნდა ეწეროს "განცხადების მიღება მოხდეს ა/წ 5 დეკემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდეს 2005 წლის 4 იანვარს".

მოთხოვნა წინადადების წარდგენაზე

საქართველოს საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა (სიპ) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) და სამხრეთ კავკასიის მილსადენების (SCP) ექსპლოატაციის ფაზისათვის (სიპ-ის მეორე ფაზა)

BP Exploration (Caspian Sea) Ltd. ,romelic მოქმედებს როგორც ოპერატორი ბაქო-თბილის-ჯეიჰანის კომპანიის (BTC Co.) და შპს სამხრეთ კავკასიის მილსადენის (SCP Co. Ltd) სახელით, მიიღებს სატენდერო **წინადადებებს** შესაბამისი კვალიფიკაციის ორგანიზაციებისაგან, (იხ. ქვემოთ) საქართველოში "საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის" (**სიპ**) განსახორციელებლად მილსადენების ექსპლოატაციის ფაზაში,

სიპ-ს საქართველოში 2003 წლის დასაწყიში ჩაეყარა საფუძველი და BTC და SCP მილსადენიების გასწვრივ 77 თემში განხორციელდა. მშნებლობის ფაზაში **სიპ**-ის მიზანი იყო მილსადენის გასწვრივ არსებული თემების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოში **სიპ-ის** მეორე ფაზის ძირითადი მიზანია BP-სა და BTC/SCP მილსადენების გასწვრივ არსებულ თემებს შორის დადებითი ურთიერთობების გაძლიერება იმ თემებში ინვესტირების გზით, რომლთა მისწრაფებაა გახდნენ თემის მდგრადი განვითარების მოდელი. **სიპ**-ის მიზანია თემების მხარდაჭერა, რათა მათ მინიმალური გარეშე დახმარებით უკეთ შეძლონ პროექტების განხორციელება და უზრუნველყონ მათი მდგრადობა. BP-სთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე შესრულებული ეს პროექტები ხელს შეუწყობენ მილსადენების ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ვინაიდან, სიპ-ის მეორე ფაზის სამუშაოთა მოცულობა დაახლოებით ისეთივე იქნება, როგორც მშნებლობის ფაზაში იყო (დაახლოებით 3 წელი, 5 მილიონი აშშ დოლარი და 77თემი), BP მოითხოვს, რომ წინადადების წარმომდგენ ნებისმიერ ინდივიდუალურ ორგანიზაციას, ან წამყვან ორგანიზაციას, რომელიც წინდადებას ორგანიზაციათა კონსორციუმის სახელით წარადგენს, ჰქონდეს:

- დასაბუთებული გამოცდილება თემის განვითარების პროექტების, ან ექვივალენტური ინიციატივების მართვასა და/ან განხორციელებაში, რომლის მინიმალური ღირებულება არაა ნაკლები 1 მილიონ აშშ დოლარზე, არა უმეტეს სამწლიანი პროექტის შესრულებისათვის.
- ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სათემო ორგანიზაციებთან (CBO) და ადგილობრივ მთავრობებთან ერთად პროექტების განხორციელების დასაბუთებული გამოცდილება,.
- წინადადების მთელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე. ნებისმიერი სახის მიმოწერა უნდა ხორციელდებოდეს ინგლისურად

აღნიშნული წინადადების მოთხოვნის შესახებ დეტალური ინფორმაციის პაკეტი ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე BP-ის ოფისშ, მისამართზე:

თბილისი საბურთალოს ქ.N38.

წინადადების წარდგენის მოთხოვნის დოკუმენტაცია აგრეთვე განთავსებულია პროექტის ვებ-გვერდზე: www.caspiandevelopmentandexport.com.

ორგანიზაციებს აღნიშნული ინფორმაციის პაკეტის ასლი შეუძლიათ მიიღონ არაუგვიანეს 2005 წლის 23 დეკემბრისა 16:00 სთ-მდე ადგილობრივი დროით

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია:

1. შპს "ვივა"-ს მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე ნავთობსაწყობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში;
2. შპს "კრისტალი"ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე სასმელი წყლის ჩამოსხმის პროექტი;
3. "თერჯოლის მონადირეთა და მეთევზეთა კლუბი"-ს II კატეგორიის საქმიანობაზე თევზის მეურნეობის შექმნის პროექტი;
4. შპს "მიუნჰაუზენი"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე სამონადირეო მეურნეობის შექმნის პროექტი;
5. ინდ. მეწარმე "გენო სინატაშვილი"-ს მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვების პროექტი;
6. შპს "ფახრადი"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე ხის დამამუშავებელი საამქროს პროექტი;

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 20 დეკემბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში, მის: თბილისი, გულუას N6.

საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 20 დეკემბერს 1200 სთ-ზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.

ახალი ხედვა თუ ახალი ჰიტი?

ნინია კაკაბაძე

იყო ისეთი დროც, როდესაც 7-8 წლის წინ დაწყებული ფილმების დამთავრებისთვის ქართველი რეჟისორები დარჩენილ თანხებს ითხოვდნენ. მაშინ ვამბობდით, რომ ამ ფილმების დასრულება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა – არადამაკმაყოფილებელი შედეგი, პრაქტიკულად, გარანტირებული იყო. ამიტომ ისედაც მწირი ბიუჯეტის მორიგი ქართული კინობოდვისთვის გაცემა მიზანშეწონილი არ იყო. ეს პროცესი ათ წელიწადზე დიდხანს გაგრძელდა და ქართული კინოს კორიფეები ყოველწლიურად ახალ-ახალი შედევრებით ანებივრებდნენ ქართველ მაყურებელს. ამ საკითხზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ, რადგან თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ავადსახსენებელი ქართული კინოს უძრაობის ეპოქა წარსულ დროს ჩაბარდა. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში კინემატოგრაფისტების ახალი ტალღა მოვიდა, რომელიც თავდაყირა დააყენებს კინოს, მაგრამ ფაქტია, რომ რამდენიმე სახელი გამოჩნდა. ამის გაუთვალისწინებლობა, ვფიქრობ, უსინდისობა იქნება. არ შეიძლება არ დავინახოთ ისიც, რომ საქართველოს ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრი გაცილებით მეტ საქმეს აკეთებს, ვიდრე ამას წლების წინ აკეთებდა ან მისი მსგავსი რომელიმე სხვა სტრუქტურა აკეთებს. მაგალითად, უკვე ჩატარებული წარმატებული კინოფესტივალების გარდა, კინოცენტრი უკანასკნელი თვეების განმავლობაში, სხვადასხვა რეგიონებში აწყობდა ქართული ფილმების ჩვენებას. ერთ-ერთი უკანასკნელი ჩვენება გალში გაიმართა. კინოარქივში დაიწყო აღდგენითი სამუშაოები, დაფინანსდა ერთი სრულმეტრაჟიანი, ერთი დოკუმენტური და რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმის წარმოება. ეს ის ძირითადი ჩამონათვალია, რაც 2005 წელს ეროვნულ კინოცენტრში გაკეთდა, რომლის ბიუჯეტიც გასულ წელს 850 ათასი ლარი იყო. და ეს ყველაფერი იმის ხარჯზე, რომ კინოცენტრში მოღვაწე თანამშრომლების ხელფასი საკმაოდ დაბალია. ყოველი უკანასკნელი თეთრი იდება იმისთვის, რომ კინოწარმოება საქართველოში მინიმალურ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებდეს. მერწმუნეთ, სხვაგან ასეთ მსხვერპლზე არავინ მიდის. მაგრამ ეს პათეტიკა აქ არაფერ შუაშია. მოდით, ქრონოლოგიურად მივყვეთ საკითხს და ჩვენი მთავარი სათქმელიც ვთქვათ.

2005 წელს ლევან ზაქარეიშვილის ფილმი "თბილისი-თბილისი" რამდენიმე პრესტიჟულ კინოფესტივალზე იყო მიწვეული, მათ შორის კანში. მისი მონაწილეობა სხვადასხვა კინოფესტივალებზე ჯერ კიდევ გრძელდება. ასევე იყო ლევან თუთბერიძის ფილმი "მოგზაურობა ყარაბაღში". ნიუ იორკის კინოსკოლაში ლევან კოღუაშვილის ფოტოაპარატით გადაღებული პატარა ფილმი უკვე ხუთი საერთაშორისო კინოპრემიით დაჯილდოვდა. ქართველი კინორეჟისორი ნინო კირთაძე წელს ევროპული კინოაკადემიის ლაურეატი ხდება, გელა ბაბლუანი კი ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე "ოქროს ლომს" იღებს საუკეთესო დებიუტისთვის. მართალია, საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწე რეჟისორების წარმატებები გაცილებით შთამბეჭდავია, ვიდრე ქართული კინოპროდუქციის მიღწევები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შექმნილი სურათი ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს, რომ ახალი ქართული კინოს რესურსი გაჩნდა. თითქოს პრეტენზია არ უნდა გვქონდეს ქართული კინოს გულშემატკვრებს, რადგან გასულ წელთან შედარებით კინოს ბიუჯეტი ნახევარი მილიონით გაიზარდა, მაგრამ მაინც უფრო პატარაა, ვიდრე, მაგალითად, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის თუ რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის ბიუჯეტი. მომავალ წელს ქართულ ოპერას და ბალეტს სამ მილიონზე მეტს გადასცემენ. რასაკვირველია, როცა საქართველოში მაღალჩინოსანი საპატიო სტუმარი ჩამოვა, წავიყვანთ ოპერაში და იმის სიმულაციას მოვახდენთ, თითქოს მუდამ ასეთია ჩვენი ოპერის რეპერტუარი და სოლისტები. ბალეტში კი მოსკოვიდან სამუდამოდ დაბრუნებული ფავორიტები გვყავს, რომელთაც არა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, პრეზიდენტის ფონდიდანაც ვეხმარებით. თუმცა, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ახალ საბალეტო პრემიერებზეც კი ცარიელია დარბაზი (აღარაფერს ვამბობთ რიგით ჩვენებებზე). ხოლო თუ საოპერო დადგმებზე ბურჭულაძე, ათანელი ან ევროპაში მოღვაწე სხვა ქართველი ან უცხოელი შემსრულებელი არ ჩამოვიდა (რაც არცთუ ისე ხშირად ხდება), ვერც საოპერო დადგმები მოიწონებენ თავს ქართული პუბლიკის სიუხვით. რაც შეეხება რუსთაველის თეატრს, იქ რობერტ სტურუაა, მნიშვნელობა არა აქვს, რა სპექტაკლებს სთავაზობს ის ქართველ მაყურებელს, ავტორიტეტი ავტორიტეტია და ვინ გაბედავს მის თეატრს მილიონზე ნაკლები აკადროს. არ იფიქროთ, რომ რუსთაველის ან საოპერო თეატრის საწინააღმდეგო მაქვს რამე. პირიქით. მხოლოდ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ფინანსების გადანაწილება ოდნავ ალოგიკურად გამოიყურება.

კინო ყველაზე კოსმოპოლიტური ხელოვნებაა. მას საერთაშორისო ბაზარზე ინტეგრირების ყველაზე დიდი უნარი აქვს. კინოს ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს, მისი მეშვეობით გაცილებით მეტს გაიგებენ ჩვენზე. გასაგებია, სახელმწიფო პრიორიტეტად კინემატოგრაფი არც ერთ ქვეყანაში არ არის გამოცხადებული, ის უმეტესად კერძო კინოსტუდიების ხარჯზე არსებობს, მაგრამ რატომ არ არის შესაძლებელი, ვიდრე საქართველო განვითარებულ ქვეყანათა რიცხვს შეუერთდება, სახელმწიფომ განვითარების ამ კონკრეტულ პროცესში უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს. თუ იქნება სახელმწიფოს ნება და, რასაკვირველია, დახმარება, შესაძლებელი იქნება, საქართველო "ევრომაჟშიც" გაწევრიანდეს (ევროსაბჭოს პროგრამა, რომელიც ევროპულ კინოპროდუქციას აფინანსებს), რაც თავისთავად ქართული კინოწარმოების მნიშვნელოვან ზრდას გულისხმობს. ამისთვის საჭიროა 100 ათასი ევროს ოდენობის საწევრო გადასახადის დაფარვა. სამწუხაროდ, ეს თანხა თანამედროვე საქართველოში არ მოიპოვება.

ერთი სიტყვით, პერსპექტივა ჩანს, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია, რამდენად ახლოს არის ეს პერსპექტივა. ერთი რამ ნათელია: საქართველოში ჯერ კიდევ ძველი ავტორიტეტები წყვეტენ კულტურული განვითარების სტრატეგიას თუ პრიორიტეტებს. ყველაზე მასობრივი ხელოვნების დარგი კი დღევანდელი ხელისუფლებისთვის ყველაზე გაუგებარ, ბურუსით მოცულ, უავტორიტეტო ნიშად რჩება. შედეგი არავის აინტერესებს, მთავარი ძველი, უკანასკნელი წლების ფავორიტთა პატივისცემაა.

P.S. გუშინ გაიმართა ნაციონალური მოძრაობის თუ მმართველი პარტიის "მომავალი ქართული კულტურის განვითარების კონცეფციის" განხილვა. შეხვედრა ჟურნალისტებისთვის დახურული იყო, ამიტომ ამ კონცეფციის შესახებ არაფერია ცნობილი გარდა იმისა, რომ, საბედნიეროდ, მომავალ წელს გვექნება ახალი ჰიტი, რომელსაც ჯემალ სეფიაშვილი დაგვიწერს და ახალი კლიპი, რომელსაც ბასა ფოცხიშვილი გადაიღებს.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

აცხადებს კონკურსს

საუკეთესო ავტორის გამოსავლენად
2005 წელს კინოს დარგში
გამოქვეყნებული სტატიებისთვის

ავტორებმა უნდა წარმოადგინონ არანაკლებ 7 სტატიისა 2005 წლის 20 დეკემბრამდე

გამარჯვებული ავტორისთვის დაწესებული ჭილდო შეადგენს 500 ლარს

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპირო 4,
ტელ/ფაქსი: 984201
E-mail: office@filmcenter.ge
www.filmcenter.ge

„კანდიდატი" - ახალი რეალითი შოუ

ნათია ვადაჭკორია

"რეინერის კაფეში" მორიგ შეხვედრაზე ბრიტანეთის საბჭომ ბრიტანელი ჟურნალისტი ჯონ ნიუბიგინი მოიწვია, რომელიც ცნობილი მეოთხე არხის კორპორატიული ურთიერთობების ხელმძღვანელი იყო 5 წლის მანძილზე, ამჟამად კი, საქართველოში ჩამოვიდა, რათა პოპულარიზაცია გაუწიოს ჯონ სმიტის მემორიალური ფონდის პროგრამას და მოიზიდოს პოტენციური კანდიდატები.

ჯონ სმიტის პროგრამის მიზანია კანდიდატებს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას დემოკრატიაზე და გააძლიეროს მათში ლიდერობის ჩვევები. პროგრამა გაერთიანებულ სამეფოში ტარდება და ივნისი-ივლისის თვეების ექვს კვირას მოიცავს. ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს შორის ისეთი ცნობილი პოლიტიკური ფიგურები არიან, როგორებიცაა თბილისის მერი გიგი უგულავა და თავისუფლების ინსტიტუტის დირექტორი ლევან რამიშვილი.

ამჟამად ჯონ სმიტის ფონდის პროგრამის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი ჯონ ნიუბიგინი გარდა თბილისისა, ქუთაისსაც ესტუმრა და საკუთარი შთაბეჭდილებები "რეინერის კაფეს" სტუმრებსაც გაანდო.

მოეწყო ასევე სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის ახალი რეალითი შოუს პრეზენტაცია, რომელიც პროდიუსერებმა ირაკლი კაკაბაძემ და ნინო მახვილაძემ წარმოადგინეს. "კანდიდატი" - ასე ერქმევა იმ გადაცემის მოდელს, რომელიც NBC-ის სხვა პროექტების მსგავსად, ქართული ანალოგი იქნება.

ყველასათვის კარგად ნაცნობი "ღამის შოუ დავით გოგიჩაიშვილთან ერთად" და "შაბათის შოუ" ტელემაყურებელთა დიდი პოპულარობით სარგებლობს. "კანდიდატი" "საქართველოს ბანკის" და "რუსთავი 2"-ის ერთობლივი პროექტია. მის შემქმნელებს, ასევე დიდი იმედი აქვთ, რომ ეს გადაცემა საზოგადოებაში და საქმიან ხალხში დიდ მოწონებას დაიმსახურებს. უფრო კონკრეტულად კი, "კანდიდატში" მონაწილეობას მიიღებს წინასწარ შერჩეული 14 ახალგაზრდა, რომლებიც სამსახურში მისაღებად სამთვიან გამოცდა-ინტერვიუს ჩააბარებენ. საკმაოდ რთულ კონკურსში გამარჯვებულის ჯილდო კი გახლავთ-საქართველოს ბანკის სტრატეგიული პროექტების მთავარი მენეჯერის თანამდებობა სოლიდური ანაზღაურებით. სხვათა შორის, ეს თანამდებობა საქართველოს ბანკში ჯერჯერობით არ არსებობს. კანდიდატები სასტუმროში ერთად იცხოვრებენ, დღის მანძილზე მიღებულ დავალებებს ასრულებენ და საღამოს კვლავ სასტუმროში ბრუნდებიან ღამის გასათევად. გადაცემის წამყვანის ანუ ბიზნესდავალებების გამცემის ფუნქციას საქართველოს ბანკის პრეზიდენტი - ლადო გურგენიძე იკისრებს.

დაინტერესებულ პირებს დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეეძლებათ ინტერნეტ მისამართზე - www.candidate.ge რაც მთავარია, გადაცემაში მონაწილეობა ყველასთვის დასაშვებია მსახიობების გარდა. საქმიანი და საინტერესო რეალითი შოუ კი სულ მალე გავა ტელეეთერში.

ფარმაცევტული კომპანია კრკა-ს წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს კონკურსს სამედიცინო წარმომადგენლის ვაკანტურ სამუშაო ადგილზე (1 ერთეული)

სამუშაოდ მიიღება სამედიცინო განათლების მქონე, საქართველოს მოქალაქე, თბილისში მცხოვრები.

აუცილებელია:

1. კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა, მომხმარებლის დონეზე;
2. მანქანის მართვის მოწმობა (B-კატეგორია);
3. ინგლისური და რუსული ენის ცოდნა (კითხვა, წერა, სასაუბრო);

მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს:

ა) ავტობიოგრაფია;
ბ) 2 ფოტოსურათი;
გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთის ასლი;
გ) დახასიათება-რეკომენდაცია ბოლო სამუშაო ადგილიდან;

საბუთების მიღება - 2005 წ. 19 დეკემბრამდე
გასაუბრება: 19 დეკემბერს 2005წ. 10.00-16.00
მისამართი: თბილისი, გამსახურდიას გამ.31 ა,ბ 17
ტელ: 899 508906

KRKA კრკა

კინგ კონგი დაბრუნდა

გუშინ მსოფლიოს ყველა მთავარ კინოთეატრებში პიტერ ჯექსონის "კინგ კონგი" გადიოდა. ცნობილ რეჟისორს დიდი ხნის განმავლობაში ჰქონია ამ ფილმის განხორციელების სურვილი, მაგრამ ამ სურვილის გადავადება ტოლკიენის ტრილოგიის გამო მოუწია. ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა კიდეც, რომ მთელი ცხოვრება დაიტანჯებოდა, თუ საბოლოოდ "კინგ კონგს" არ გადაიღებდა. როგორც ვხედავთ პიტერ ჟექსონის აჩემებული ოცნება, როგორც იქნა ასრულდა. ახალი ფილმის სცენარი ძველი ვერსიის იდენტურია, რომელიც მერიენ სი კუპერისა და ედგარ უოლისის ნაწარმოებს წარმოადგენს და რომელიც 1933 წლის კინო ნამუშევარს საფუძვლად დაედო.

რომანში საუბარია გიგანტური გორილას შესახებ, რომელიც ჯუნგლებში ჰყავთ დამწყვდეული და იძულებით მოთავსებული ადამიანების გარემოცვაში, სადაც დიდი მაიმუნი ტრაგიკული დასასრულის მქონე ისტორიაში ეხვევა.

როგორც ჯექსონმა აღნიშნა, 1933 წლის "კინგ კონგი", მთელი 35 წლის განმავლობაში, მისი უსაყვარლესი ფილმი ყოფილა. რეჟისორს რჩეული ფილმი პირველად ცხრა წლის ასაკში უნახავს და როგორც აღმოჩნდა, სწორედ ამ კინონამუშევარს შთაუნერგავს მისთვის რეჟისორის პროფესიის მშვენიერება. უკვე პროფესიონალისთვის მთავარი მიზანი სწორედ "კინგ კონგის" რემეიკის გადაღება ყოფილა, ოღონდაც ამჯერად უახლესი ტექნოლოგიებითა და თანამედროვე კინოს სპეციფიკით.

ფილმში მონაწილეობენ ნაომი უოტსი, ჯეკ ბლეკი, ედრიან ბროუდი. რაც შეეხება ენდი სერკისს, რომელმაც თავის დროზე გორლუმი განასახიერა, მან ამჟამად გორილას შთაბერა სული. იმისთვის, რათა როლში შესულიყო და გიგანტური ზომის ცხოველის ფსიქიკას ჩაწვდომოდა, სერკისს საკმაოზე მეტი დრო ლონდონის ზოოპარკში, პატარა და დიდი მაიმუნების გალიებთან გაუტარებია.

სამსაათიანი ფილმის ბიუჯეტმა 207 მილიონ დოლარს მიაღწია. დიდი ბრიტანეთის ცენზურამ თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვებს ფილმის ხილვა მხოლოდ უფროსების თანდასწრებით დართო.

ყურადღება!

რესტორანი "დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207

TV 5-ის პროგრამები

19 დეკემბერი

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.10(შვეიცარია), 02.35(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **11.05** გადაცემა: ოჯახის ფოტოები. **12.15** სამხრეთის ანარეკლი. **15.30** აკუსტიკა. **16.25** ისევ სკაუტი. მხ ფილმი. რეჟისორი ჟერარ ჟუნო. 1985. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** მანგას სამყარო. დოკ. ფილმი. **20.25** გადაცემა: არც იოცნებო. **22.05** შანელის ნიშანი. დოკ. ფილმი. **23.00** გადაცემა. თვალსაზრისი. **24.30** რჩეულნი. რეჟისორი პატრიკ ლეკონტი. 1996. **04.20** კლარა შელერი. ტელესერიალი.

20 დეკემბერი

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.30** (შვეიცარია), 02.55(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** ოცნების სახლი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** გადაცემა: ოჯახის ფოტოები. **12.15** შემდეგი ორმო. მხ ფილმი. რეჟისორი ბენუა ჟაკო. 1999. **15.30** აკუსტიკა. **16.30** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **22.05** შანელის ნიშანი. დოკ. ფილმი.**24.30** გადაცემა: ტარატატა. **03.20** გადაცემა: არც იოცნებო.M**05.25** გადაცემა: ხედვა მოკლე მანძილზე.

21 დეკემბერი

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.15** (შვეიცარია), **02.45** (აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.10** შავი ფარაონების ოქრო. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** გადაცემა: ოჯახის ფოტოები. **15.30** აკუსტიკა. **16.30** იტალიელები. მხ. ფილმი. რეჟისორი ფილომენ ესპოსიტო. 1999. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** გადაცემა: ფენომანია. **20.25** მტრედი და ადამიანი. დოკ. ფილმი. **22.05** შანელის ნიშანი. **24.30** მატყუარა. თელე სპექტაკლი. **04.25** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი.

22 დეკემბერი

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.15** (შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **11.05** გადაცემა: ოჯახის ფოტოები. **12.15** კლარა შელერი. ტელესერიალი. **13.15** რენის მუსიკალური ტალანტები. **15.30** აკუსტიკა. **16.30** გადაცემა: არც იოცნებო. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** მამონტებზე ნადირობა. დოკ. ფილმი. **20.25** ვინც რჩება. მხ. ფილმი. რეჟისორი ვირჯინი სოვერი. 2005. **22.05** შანელის ნიშანი. **24.25** დროის ტარება. მხ ფილმი. რეჟისორი კლოდ პინოტო. 1980. **04.20** ჟოელის შეხვედრები. მხ ფილმი. რეჟისორი პატრიკ პუბელი. 2001.

23 დეკეზმერი

08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00** (შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** მტრედი და ადამიანი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** ლინდა ლემეი. დოკ. ფილმი. **12.15** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **15.30** აკუსტიკა. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** მასპინძლობის ხელოვნება. დოკ. ფილმი. **20.25** ლულუსა და რომანის რომანი. მხ ფილმი. რეჟისორი პიერ-ოლივიე სკოტო. 2001. **22.05** შანელის ნიშანი. **24.30** დალიდა. თელესერიალი. **04.20** მატყუარა. ტელე სპექტაკლი.

24 დეკემბერი

06.00, 08.00, 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები.**07.05** მანგას სამყარო. დოკ. ფილმი. **08.25** საბავშვო შემეცნებითი გადაცემა: ბიდუმ-ბიდუმ. **09.25** საშობაო ნაძვის ხის ლეგენდა. **10.25** პლანეტის 7 დღე. **11.05** მამონტებზე ნადირობა. დოკ. ფილმი. **12.15** დალიდა. ტელესერიალი. **13.55** გადაცემა: მარჯვე ხელები. **16.30** ორლეანელი მუსიკოსები. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **23.00** ალექსანდრია. დოკ. ფილმი. **24.30** კარგი დრო იყო. მხ ფილმი. რეჟისორი ან დელუზი. 2005 **02.55** მთავარია ადამიანი. ტელე სპექტაკლი

25 დეკემბერი

06.00, 08.00, 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00, 02.30** (შვეიცარია), **03.50** (აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** ჰიმალაი. დოკ. ფილმი. **08.25** მოცარტი. კონცერტი. **09.25** საშობაო ნაძვის ხის ლეგენდა. **14.05** ჰიმალაი. დოკ. ფილმი. **16.30** ალისას სარკე. ტელესერიალი. **18.30** ხედვა მოკლე მანძილზე. დოკ. ფილმი. **20.25** გადაცემა: მხოლოდ კვირა დღეს. **23.00** შალონის ფესტივალი. ქუჩის მსახიობები. **03.00** გადაცემა: ტარატატა. **05.05** ოცნების სახლი. დოკ. ფილმი.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სოხუმის ყოფილი აეროპორტის დირექტორი, აფხაზეთის სახელმწიფო ავიახაზების გენერალური დირექტორი

ზაურ კირილეს ძე ხაინდრავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილები ირაკლი, ელისო ნადირაძეები, შვილიშვილები ნინო, შალვა, შვილთაშვილები მარიამი, ლუკა, რძალი რუსუდან ჭირაქაძე, სიძე თამაზ გოგოლაძე, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნელი გიორგის ასული ოდიშარია

პანაშვიდი 16 და 17 დეკემბერს, 17 საათზე.

დაკრძალვა 18 დეკემბერს 14 საათზე.

მისამართი: თბილისი, ბაქოს ქ. N12